№13 (7048) 20 ივლისი,
ორშაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

პრემიერ-მინისტრმა ხობში ახალი საწარმო გახსნა

ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრობდა. მან სახელმწიფო რწმუნებულთან-გუბერნატორ ლევან შონიასთან, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან და მუნიციპალიტეტის გამგებელ გოჩა ქაჯაიასთან ერთად ხობში ახალი საწარმო გახსნა. პროექტი პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა და ის ბიზნესმენის ემზარ ბასილაიას მიერ დაფუძნდა. მისი მშენებლობა 2 მილიონი ლარი დაჯდა. მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იყო 50 ადგილობრივი მცხოვრები. საწარმოში მუდმივად 30 ადამიანი იქნება დასაქმებული. ქარხანაში იწარმოება პლასტმასის ყუთი, წებო-ცემენტი, სამშენებლო ბლოკი, ბეტონის დეკორატიული ფილა, ბეტონის დეკორატიული ღარები, სამშენებლო ბლოკი და ბორდიურები. შპს „ფიგარო“ უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე საწარმოს გახსნას გეგმავს.

ხობში საფუძველი ჩაეყარა ორი დიდი ქარხნის მშენებლობას

ხობში დაიწყო ორი დიდი ქარხნის მშენებლობა იგი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ დაათვალიერეს. ამით საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოსთვის და კერძოდ, ხობისთვის უმნიშვნელოვანეს პროექტს. სიმინდის ზეთისა და სიმინდის გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობას.

ბალავარის გაჭრას ასევე, დაესწრნენ „საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია „ქარვას“ გენერალური დირექტორი ილია ქანთარია და კომპანია „კოლხეთის“ დირექტორი მამუკა ბუკია, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია და ბიუროს სხვა წევრები.

„აღნიშნული პროექტი იქნება უდიდესი შვება ფინანსური თვალსაზრისით. წელიწადში 100 მლ-იანი ბრუნვა განხორციელდება. გთხოვთ, ხობელებმა იაქტიუროთ და დასაქმებისთვის კომპანია „კოლხას“ მიაკითხოთ“ –აღნიშნა გოდერძი ბუკიამ.

იგივე თხოვნა გამოხატა კომპანიის დირექტორმა გიორგი ბუკიამ: „ჩვენ გამოვაცხადეთ კონკურსი და დავდეთ ვაკანსიები. სამწუხაროდ, უმეტესობა სხვა რაიონის მცხოვრებლები არიან. ამიტომაც, ვთხოვ ხობელებს, მოგვაკითხონ და გამოხატონ მზაობა. უნდა დავიწყოთ კადრების გადამზადებაც. მშენებლობა ნოემბრის ბოლოსთვის დასრულდება“.



ხობი მე-7 საერთაშორისო ფესტივალისთვის ემზადება

3

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2015 წლის 29 ივნისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა შორის განხილულ იქნა ,,ქალაქ ხობში „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის“ დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი (მომხსენებელი ა. ვარდია გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი), საკრებულოს გადაწყვეტილებით ქ. ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესი განსაზღვრავს ქ. ხობის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მართვის, მოვლა-პატრონობის, სარიტუალო მომსახურების, სასაფლაოების დახურვასა და ახალი სასაფლაოების გახსნის ზოგად წესებს.

მორიგი საკითხი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების მოვლისა და სხლვა–ფორმირების წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი (მომხსენებელი ა. ვარდია გამგეობის ეკონომიკური და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი) საკრებულოს სხდომაზე მიღებული განკარგულებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეოს პროგრამით (NFP) ფარგლებში მომზადებული ინსტრუქციის საფუძველზე განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესი. აღნიშნული პროექტი საკრებულოს მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული. ასევე განხილულ იქნა პროექტი „ნუგზარ ნადარაიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე (მომხსენებელი გ. სიჭინავა–ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ ხობში კულტურის სახლის წინამდებარე კულტურისა და დასვენების პარკისთვის, ხობის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტულ და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას სახელის მინიჭების თაობაზე. ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

WWW.khobi-sakrebulo.ge,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ვახტანგ გომელაური უხელმძღვანელებს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ვახტანგ გომელაური უხელმძღვანელებს, –კანდიდატი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება ასრულებს დანაპირებს და ქმნის პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტრო დემოკრატიულ და დასავლურ სტანდარტებზე დაფუძნებული სტრუქტურა იქნება.

„ჩვენ დავიწყეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირება, გავხადეთ სისტემა დეპოლიტიზებული და დღეიდან ვმიჯნავთ მისგან უსაფრთხოების სამსახურებს. სწორედ ამ გადაწყვეტილებით, ჩვენმა კოალიციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ ვართ ჩვენი დანაპირების ერთგული. უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელად წარმოგიდგენთ ვახტანგ გომელაურს. ვახო არის უაღრესად პატიოსანი, წესიერი ადამიანი, მაღალი დონის პროფესიონალი. მან დაამტკიცა, რომ აქვს კარგი მენეჯერული თვისებები, მე მას 12 წელია ვიცნობ და მასთან ვიმუშავე 3 წლის განმავლობაში. მინდა, მადლობა გადავუხადო გაწეული სამსახურისთვის, რომელიც პირნათლად შეასრულა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. იგი არის უაღრესად პრინციპული, სამართლიანი ადამიანი. მჯერა, ის წარმატებით უხელმძღვანელებს უსაფრთხოების სამსახურს და ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ უწყებამ ჩვენს მოქალაქეებში დიდი ნდობა მოიპოვოს. ვახო არის ადამიანი, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ჩვენი საზოგადოების ნდობას. მან ბოლო პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე რთულ სისტემას უხელმძღვანელა და მჯერა, იქნება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამსახურის უფროსი“, –განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა ვახტანგ გომელაურმა და იმედი გამოთქვა, რომ მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის მხრდაჭერა ექნება.

„ვეცდები, გავამართლო პრემიერის და ჩვენი მოქალაქეების იმედები. ეს სამსახური ერთ-ერთი პრინციპული სამსახური იქნება, ერთიანდება რამდენიმე დეპარტამენტი და ვიზრუნებთ ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე“, –აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის დანიშვნამდე, მინისტრის მოვალეობას ვახტანგ გომელაური შეასრულებს. ახალი მინისტრის კანდიდატურა უახლოეს 2-3 დღეში დასახელდება.

ფრანსუა ოლანდი ევროზონის მთავრობის შექმნის ინიციატივით გამოდის

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი გამოდის მოწოდებით, შეიქმნას ევროზონის მთავრობა. ამის შესახებ მან ყოველკვირეულ „Journal du Dimanche“-ში დაწერა. მისივე აზრით, ეს იქნება მთავრობა დამოუკიდებელი ბიუჯეტითა და პარლამენტით.

ოლანდის განცხადებით, ამან ევროკავშირის მოქალაქეებს ნდობა უნდა გაუმყაროს იმ ევროპულ პროექტთან მიმართებაში, რომელიც რამდენადმე დასუსტდა საბერძნეთში არსებული ეკონომიკური კრიზისისა და ევროპული ფინანსური ინსტიტუტების მოლაპარაკებათა ფონზე.

ოლანდის თქმით, ევროზონის 19 წევრი ქვეყანა მასში იმიტომ გაერთიანდა, რომ ეს მათ ინტერესებში იყო და არც ერთ ქვეყანას პასუხიმგებლობა არ აუღია გასულიყო ევროზონიდან. მისი განცხადებით, პოპულისტური მოძრაობები იკვებებიან ევროპელების იმედგაცრუებით ევროპულ ინსტიტუტებში და თავს ესხმიან ევროკავშირს იმიტომ, რომ ეშიანიათ მშვიდობის და სურთ კვლავაც დაბრუნდეს გათიშულობა, კედლები და ღობეები.

ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებიც კაცობრიობას ელის, თუკი გარემოს დაბინძურება არ შეწყდება



მეცნიერთა აზრით, გლობალური დათბობის გავლენა ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ ათეულობით წლის შემდეგ გახდება შესამჩნევი. თუმცა, როგორც ვაშინგტონელი მკვლევარები ამტკიცებენ, ე.წ. „სათბურის ეფექტის“ შედეგები თვალსაჩინო უკვე 10 წლის შემდეგ იქნება. კარნეგის მეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტებმა გამოთვალეს დრო, რომელიც უნდა გავიდეს ნახშირორჟანგის ატმოსფეროში ემისიის შემდეგ, რათა ეს დედამიწის ტემპერატურაზე აისახოს.

შედეგად, მათი განცხადებით, თუკი ამჟამინდელი თაობა არ შეამცირებს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფას, მათ ისეთი ექსტრემალური ბუნებრივი კატაკლიზმების ატანა მოუწევს, როგორიცაა: წყალდიდობები, სიმშრალე და ჰაერის მაღალი ტემპერატურა. თუმცა, კლიმატის ცვლილების უფრო სერიოზული შედეგები, მაგალითად, მსოფლიო ოკეანის დონის ზრდა, ყინულების კატასტროფული დნობა მხოლოდ ასეულობით ან ათასეულობით წლის შემდეგ დაიწყება, ამტკიცებს კვლევის ავტორი კატარინა რიკე.

მეცნიერები ასეთ ხანგრძლივ დაგვიანებას იმით ხსნიან, რომ ოკეანის ზედა შრეებს გაცხელებისთვის გაცილებით დიდი დრო ესაჭიროებათ, ვიდრე ატმოსფეროს. სწორედ ამიტომ, ამ დროში CO2-ს ოკეანე შთანთქავს და იგი ატმოსფეროდან ქრება. ეს ორი პროცესი ერთმანეთის კომპენსირებას დაახლოებით ათი წლის განმავლობაში მოახდენს. ვადის ამოწურვის შემდეგ, კლიმატის რეაქცია დედამიწის მაცხოვრებლებისთვის გაცილებით უფრო შესამჩნევი გახდება.

პრემიერ მინისტრმა „თბილისი 2015“-ის ოლიმპიური სოფელი გახსნა

მთავრობის მეთაურმა ოლიმპიურ სოფელში შეკრებილ საზოგადოებას ოლიმპიური სოფლის მერი წარუდგინა. აღნიშნულ სიმბოლურ თანამდებობას ქართველი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი დაიკავებს.

„ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველოდებით ოლიმპიური ფესტივალის დაწყებას. სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი ამ ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიების დაწყებამდე და როგორც იტყვიან, ოლიმპიური ტემპერატურა დღითიდღე მატულობს. თბილისში უკვე ანთია ოლიმპიური ცეცხლი, დღეს კი საზეიმოდ ვხსნით ამ არაჩვეულებრივ ოლიმპიურ სოფელს, სადაც ჩვენი სტუმრები და ფესტივალის მონაწილეები დაიდებენ ბინას. როგორც ხედავთ, აქ არის ყველა პირობა შექმნილი ჩვენი სტუმრების ღირსეულად დასახვედრად, ასევე ყველა პირობა იმისთვის, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა და სტუმრებმა შეძლონ მომავალი ასპარეზობისთვის სათანადოდ მომზადება.

ოლიმპიურ სოფელს, როგორც წესი, მერი ხელმძღვანელობს და მინდა დღეს ამ სიმბოლურ, თუმცა საპატიო თანამდებობაზე წარმოგიდგინოთ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი. გარდა იმისა, რომ ლევან კობიაშვილი არის დიდი და გამორჩეული ფეხბურთელი, ის არის გამორჩეული პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ლევანი იქნება ჩვენი ქვეყნის ღირსეული სახე. ის დახვდება 50-მდე ქვეყნის 4000-მდე სპორტსმენს და მჯერა, რომ ღირსეულად წარმოადგენს ჩვენ ქვეყანას“,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც ლევან კობიაშვილს ოლიმპიური სოფლის მერის მედალი გადასცა. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ისეთი მასშტაბის სპორტული ღონისძიება, როგორიც ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალია, საქართველოში აქამდე არ ჩატარებულა.

„ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი პატივი, პასუხისმგებლობა და ერთგვარი გამოცდილებაც. მე ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ყველანი ერთად –ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის სამინისტრო და მთელი მთავრობა ღირსეულად ჩავატარებთ ამ ფესტივალს. „თბილისი2015 -ის“ ოლიმპიურ სოფელს გახსნილად ვაცხადებ“, –მიმართა ირაკლი ღარიბაშვილმა ოლიმპიურ სოფელში შეკრებილებს.

მოქალაქეები წყლის მრიცხველის ფასს აღარ გადაიხდიან

მოქალაქეები სასმელი წყლის მრიცხველის 100 ლარიან საფასურს აღარ გადაიხდიან. აღნიშნული წესი ვრცელდება 2015 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან აცნობეს, სემეკ-ის გადაწყვეტილებით, შესაბამისი ცვლილება „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების“ წესებში შევიდა. კერძოდ, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, რომელთა სასმელი წყლის მილის დიამეტრი 15 მმ-ს არ აღემატება, აღრიცხვის კვანძი, მათ შორის მრიცხველი, უფასოდ დაუმონტაჟდებათ.

„საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის მრიცხველი არის უფასო და მისი დამონტაჟება სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიის პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა. კომისია მუშაობს სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებში ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც კომპანიას განესაზღვრება თუ რა პერიოდში უნდა მოახდინოს მრიცხველის დამონტაჟება“,–აცხადებს კომისიის თავმჯდომარე, ირინა მილორავა.

უახლოეს პერიოდში მოქალაქეები წყალმომარაგების სექტორში სხვა სიახლეებითაც ისარგებლებენ. კერძოდ, კომისიამ შეიმუშავა კომერციული მომსახურების ხარისხის წესები, რომლის საფუძველზეც სასმელი წყლის მიწოდების არაგეგმიური წყვეტა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

წესებით გაკონტროლდება ქოლ-ცენტრის ოპერატორის პასუხის გაცემის დრო სატელეფონო ზარზე. წყალგამანაწილებელ კომპანიებს დაუწესდებათ სხვადასხვა მომსახურების სტანდარტები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელთა სასარგებლოდ ფულადი კომპენსირების მექანიზმები ამოქმედდება. კომპენსაცია მომხმარებელს დაერიცხება სააბონენტო ბარათზე დეპოზიტის სახით.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობი მე-7 საერთაშორისო ფესტივალისთვის ემზადება

მიმდინარე წლის 2-3 ოქტომბერს ქ.ხობი ქართული ფოლკლორის მოყვარულებს მეშვიდედ უმასპინძლებს. სავიზიტო ბარათად ქცეული ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ საზოგადოებას, კულტურის ორი დიდი ტრიუმფატორის, ანსამბლი „რუსთავისა“ და თამარ გვერწითელის შემოქმედებას შესთავაზებს. ფესტივალის ეგიდით, ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით, 380 ქართული ხალხური სიმღერა გამოიცემა, რომელიც 16 კომპაქტ-დისკს მოიცავს. ასევე, პირველად იქმნება თამარ გვერწითელის მიერ, ბავშვობიდან დღემდე ნამღერი ყველა ქართული სიმღერის ალბომი. თამარ გვერწითელის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე მზადდება წიგნი და იგეგმება დოკუმენტური ფილმის გადაღება.

ფესტივალის დღეებში მოხდება ახალბედა მომღერლის ხობელი ნინო გოთოშიას დისკის პრეზენტაცია. ნინოს მიერ, ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად შესრულებული მეგრული სიმღერების დისკი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას, ანზორ ერქომაიშვილისა და მისი მეგობრების დამსახურებაა. ფესტივალის ძირითადი მიზანი –ახალგაზრდების ჩართულობა მუსიკალურ სფეროში, ამის დასტურია. წლების მანძილზე ხობის ფეტივალმა რამდენიმე ახალბედა მომღერალს გზა დიდი სცენისკენ დაულოცა.

ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის კუთხით, აღსანიშნავია ფესტივალის საგამომცემლო საქმიანობა, რომელსაც მუსიკათმცოდნეები „ხობის ფესტივალის ბიბლიოთეკად“ მოიხსენიებენ. ესენია: სანოტო კრებულები, წიგნები, კატალოგები, ცნობები, უნიკალური კომპაქტდისკები. ფესტივალის 14 წლის არსებობის მანძილზე თითოეული გამოცემა, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, უსასყიდლოდ გადაეცემა უმაღლეს სასწავლებლებს, საჯარო სკოლებს, ბიბლიოთეკებს, მუსიკალურ სასწავლებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

წინაპართა ღვაწლის წარმოჩენის და უკვდავყოფის თვალსაჩინო ნიმუშია ხობის ძუკუ ლოლუას სახელობის „ქართული ხალხური (მეგრული) სიმღერის მუზეუმი“, რომელიც 2007 წელს, მესამე ფესტივალის ფარგლებში შეიქმნა და მას ევროპაში ანალოგი არ ჰყავს. მუზეუმის არსებობით, ხობის ფესტივალმა ქართულ ხალხურ სიმღერას ძეგლი დაუდგა – აღნიშნავენ ფოლკლორისტები.

ქართველი კომპოზიტორების მიერ, სპეციალურად ხობის ფესტივალისთვის შექმნილია ათეულობით სიმღერა. საგულისხმოა, უცხოელი შემსრულებლებისა და ქართული დიასპორის აქტიურობაც.

წლევანდელ ფესტივალზე სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას მრავალფეროვანი პროგრამა ექსკურსიებით, დისკოთეკით და სხვადასხვა ღონისძიებით ელის.

დასკვნითი საღამო შექმნის ტრადიციული ქართული სიმღერის და მის ფესვებზე შექმნილი თანამედროვე მუსიკის ტანდემს. ეს იქნება მოფერების, თაყვანისცემის ერთგვარი გამოხატვა, ლეგენდარული ანსამბლ „რუსთავისა“ და განუმეორებელი თამარ გვერწითელისადმი იმ სიამოვნების, იმ სიამაყისთვის, რასაც ქართველი ხალხი წლებია მათი შემოქმედებით განიცდის.

ხობის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორები არიან: საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ –პრეზიდენტი გოდერძი ბუკია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

ფესტივალი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ტარდება.

„მწვანე სკვერ–პარკში“ პატარები უსაფრთხოდ ითამაშებენ

ქ. ხობში, ხობის №2 საჯარო სკოლის წინ მდებარე „მწვანე სკვერში“ არსებული სათამაშო მოწყობილობები (სასრიალო, საქანელა, გვირაბი და სხვა) გარემონტდა. სამუშაოები შპს „ხობი განათება და დასუფთავების“ მიერ იქნა შესრულებული, რის შემდეგაც პატარებს უსაფრთხოდ შეეძლებათ თამაში და გართობა განახლებულ მოწყობილობებზე.

შეხვედრა ფერმერულ ჯგუფებთან და კოოპერატივების წარმომადგენლებთან

7 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“-ს (CARE) და ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო -საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები ხობის მუნიციპალიტეტის ფერმერულ ჯგუფებს და კოოპერატივების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტზე, რომლის მიზანია ფერმერულ მეურნეობებში წარმოების ეფექტურობის ამაღლება და მათი შემოსავლების გაზრდა ბიზნესზე ორიენტირებული მდგრადი ფერმერული ჯგუფების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის, წახალისებისა და მხარდაჭერის გზით.

საუკეთესო ბიზნეს-იდეის გამოვლენის მიზნით, „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ (CARE), ENPAR-ის ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტებში აცხადებს მესამე საგრანტო კონკურსს ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერთა ჯგუფებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის.

შეხვედრის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას ბიზნეს-იდეის მომზადების შესახებ საპლიკაციო ფორმა გადასცეს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალურად დაუცველებთან

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსმა შოლინა კანკიამ გამგეობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობა მოინახულეს და პირადად მოისმინეს მათი პრობლემები. ავარიულ მდგომარეობაში არსებული სახლები გადახურვას, რეაბილიტაციას, რამოდენიმე მათგანი სიძველის გამო დაშლას და ხელახლა აშენებას საჭიროებს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალურად დაუცველ და ეკონომიკურად შეჭირვებულ მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ფარგლებში ივნისის თვეში 10200 ლარი გაიცა, რომლითაც ბენეფიციარებმა სამშენებლო მასალები შეიძინეს. მიმდინარეობს ავარიული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ახალი სახლების აშენება-გადახურვა.

გაღმა საჯიჯაოში გზის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში შიდა სასოფლო გზის სარემონტო (საფარის გაფხვიერება, დაპროფილება, დატკეპვნა ვიბროკატოკით) სამუშაოები მიმდინარეობს. ამაწინათ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ზაზა ბუკიამ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. გამგებელი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათი მოსაზრებებიც მოისმინა. სოფელ გაღმა საჯიჯაოს მოსახლეობამ ადგილობრივ ხელისუფლებას აქტიური მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფელ გაღმა საჯიჯაოში შიდა სასოფლო გზის სარემონტო სამუშაოებესთვის 14116,67 ლარია გამოყოფილი. სამუშაოები, რომლის შემსრულებელია შპს „M ჯგუფი“–20 ივლისს დასრულდება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ელექტრონული მმართველობის დახანერგად

ხობის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში, პროექტის ბიზნეს ანალიტიკოსი ვახტანგ დოლიძე

სტუმრობდა.

სტუმარი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამგებელს გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარეს ედიშერ ჯობავას, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს ზვიად ბუკიას და საკრებულოს აპარატის უფროსს ლელა შამათავას შეხვდა.

შეხვედრის თემას, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლა წარმოადგენდა. საუბარი შეეხო პროექტის ფარგლებში გაწეულ საქმიანობას, ივლისში ჩატარებულ კომპიუტერული უნარებისა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ტრენინგებს, სადაც საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლებმა შედეგები მაღალი მაჩვენებლებით დააფიქსირეს, ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლასთან ერთად მუნიციპალიტეტების მომსახურების მართვის სისტემის დანერგვას, რომელთა დანერგვის საშუალებითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კონტროლი გაწეულ მომსახურებაზე, შემცირდება მომსახურების მიღების ვადები და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საოპერაციო და ადამიანური ხარვეზები. განხილულ იქნა ჭალადიდის საზოგადოებრივი ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საკითხები.

მხარეებმა განიხილეს პროექტის დასკვნით ეტაპამდე განსახორციელებელი სამუშაოები და შეთანხმდნენ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლისათვის გათვალისწინებული სატესტო ვადებისა და რეალურ რეჟიმზე გადასვლისათვის დარჩენილი სამუშაოების უმოკლეს ვადებში განხორციელებაზე.

პროექტს „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ახორციელებს სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომლის ფარგლებშიც სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და საპილოტე მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებულია მემორანდუმი „ელექტრონული მმართველობის ადგილობრივი თვითმმართვლობის ორგანოებში დანერგვის ხელშეწყობის შესახებ“.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და კოორდინაციით, ელექტრონულ მმართველობასა და ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასასვლელად ხობის მუნიციპალიტეტი 2013 წლიდან ემზადება, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში განხორციელდა პირველი სართულის სრული რეკონსტრუქცია და მოქალაქეთა მისაღებისა და საკრებულოს და გამგეობის არქივების და დამხმარე ოთახების მოწყობა. შენობაში მოეწყო თანამედროვე ქსელური ინფრასტრუქტურა–ციფრული საკომუნიკაციო და უსაფრთხოების სისტემა, გამგეობის სამსახურები და საკრებულო სრულად აღიჭურვა სათანადო კომპიუტერული ტექნიკით. პარალელურად მიმდინარეობს შესაბამისი ნორმატიული მარეგულირებელი ნორმების შემუშავება.

დარჩენილი სამუშაოებისა და დეს-ის სატესტო რეჟიმში მუშაობის ვადების დასრულებისთანავე ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ელექტრონული საქმისწარმოების რეალურ რეჟიმში გადავლენ, რისი საშუალებითაც მოქალაქეები ოპერატიულად, მარტივად და ეფექტურად მიიღებენ სათანადო მომსახურებას მოქალაქეთა მისაღებში, კანცელარიის ოპერატორებისგან.

მამა იაკობმა ხობში ორი დიდი ქარხნის საძირკველი აკურთხა

15 ივლისს პირველი მაისის „ყოვლადწმინდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსის წინამძღვარი დეკანოზი მამა იაკობი დაესწრო ქ.ხობში სიმინდის ზეთისა და სიმინდის გადამამუშავებელი ქარხნების ფუნდამენტის ჩაყრას და აკურთხა მშენებლობის დაწყება, რომელიც ხორციელდება მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინიციატივით.

ფუნდამენტის ჩაყრას ესწრებოდა მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია.

კლუბ ხობის „კოლხეთს“ 1500 ინდივიდუალური სკამი გადაეცა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რიცხული 1500 ინდივიდუალური სკამი უსასყიდლოდ გადაეცა ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთს“, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ. სკამები დარეზერვდა და გეგმის მიხედვით ქ. ხობის ცენტრალურ სტადიონზე უახლოეს მომავალში დამონტაჟდება.

პროექტი „აქტიური მოქალაქე, ხობის განვითარებისთვის“

10 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ა(ა)იპ–ახალგაზრდული ორგანიზაცია პირველების „აქტიური მოქალაქე, ხობის განვითარებისთვის“ წარმომადგენლებმა, კონსტიტუციონალისტმა, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების ექსპერტმა, პროფესორმა კოტე ჩოკორაიამ და კონსტიტუციონალისტმა, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების ექსპერტმა ალიკა კუპრავამ, შეხვედრა გამართეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებთან.

შეხვედრაზე ისაუბრეს ხობის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტზე, რომლის მიზანია ახალგაზრდების გააქტიურების ხელშეწყობის გზით, ადგილობრივ მოსახლეობას და თვითმმართველ ორგანოებს შორის თანამშრომლობის და კომუნიკაციის გაღრმავება, ადგილობრივ მოქალაქეებში ინფორმირებულობის, სამოქალაქო თვითშეგნების, მონაწილეობის და განათლების დონის ამაღლება და

ადგილობრივი თვითმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა, მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფით.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ა(ა)იპ–ახალგაზრდული ორგანიზაცია პირველების „აქტიური მოქალაქე, ხობის განვითარებისთვის“ წარმომადგენლებს თანადგომა გამოუცხადეს.

არხის ამოწმენდითი სამუშაოები ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში

3 ივლისს ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დასახლებაში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარე, სანიაღვრე არხის ამოწმენდითი სამუშაოები დაათვალიერეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ალექსანდრიამ, ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა სიჭინავამ და ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელმა ლევან ლიპარტიამ.

არხის ამოწმენდის სამუშაოები მიმდინარეობს პროექტის შესაბამისად და დამთავრდება დაგეგმილს ვადებში.

სკოლამდელ დაწესებულებებში

ა(ა)იპ-„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“-ზე გვესაუბრება გაერთიანების დირექტორი ელისო კვიკვინია.

რამდენი საბავშვო ბაგა-ბაღი შემოდის თქვენს გაერთიანებაში, ამათგან რამდენია ტერიტორიული ორგანოებიდან და რამდენი ქალაქის ცენტრში?

–სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში ფუნქციონირებს 30 სტრუქტურული ერთეული, ქალაქში სამი საბავშვო ბაგა–ბაღია, ხოლო ტერიტორიულ ორგანოებში–27 ბაღი.

რამდენი აღსაზრდელი გყავდათ შარშან, რომელი ბაღი იყო მრავალრიცხოვანი, რომელი მცირეკონტიგენტიანი?

–სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება ბიუჯეტით დაგეგმილია 1092 აღსაზრდელზე. 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაირიცხა 1082 აღსაზრდელი, დღევანდელი მონაცემით კი ჩარიცხულია 1075 აღსაზრდელი.

სახელმწიფო საბავშვო ბაღები უფასოა. ბაღში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა მზარდია. ქალაქ ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში, რომელიც 2014 წელს დაგეგმილი იყო 5 ასაკობრივ ჯგუფზე 130 აღსაზრდელით, ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტი აღმოჩდა. მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე, ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებით, ახალი სასწავლო წლიდან აღნიშნულ სკოლამდელ დაწესებულებაში გაიხსნა ახალი, მეექვსე დამატებითი ჯგუფი 25 აღსაზრდელზე. მრავალრიცხოვანია ქალაქ ხობის №1 საბავშვო ბაგა–ბაღიც, სადაც ჩარიცხულია 117 აღსაზრდელი.

მიმდინარე სასწავლო წლისთვის სოფელ შავღელეში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი 30 აღსაზრდელზე, ხოლო ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღში გაიხსნა ახალი ჯგუფი 23 აღსაზრდელზე.

მცირეკონტიგენტიანია გურიფულის, ყორათის, გაღმა სავიჯაოს, ძველი ხიბულის, ზეთის №2–სა და ზემო ქვალონის საბავშვო ბაღები, სადაც ჩარიცხულთა რაოდენობა განისაზღვრება 5-10 აღსაზრდელით. თანაფარდობა დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობასა და ჩარიცხულ აღსაზრდელთა რაოდენობას შორის 1:1 ან 1:2-ია. შესაბამისად, აღნიშნულ ბაღებში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრულია საშტატო ნუსხა.

სკოლამდელი განათლება უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მრეწველობიან მავითარებაში

რამდენი ბავშვი გააცილეთ წელს სკოლაში, საფრთხე ხომ არ ემუქრება იმ ბავშვებს, რომლებსაც ბაღის ასაკი სექტემბრის შემდეგ უსრულდებათ, როგორი იქნება მათი მდგომარეობა?

–ახალი სასწავლო წლიდან სკოლის მერხს მიუჯდება 301 ბაღგავლილი მოსწავლე. ხოლო ის ბავშვები, რომელთაც პირველ იანვრამდე უსრულდებათ ექვსი წელი, (სტატისტიკური მონაცემით–114 აღსაზრდელი) ვფიქრობთ, რომ არ დარჩებიან ბაღს გარეთ. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ვეძებთ გზებს, რომ ეს აღსაზრდელები დარჩნენ საბავშვო ბაღებში. პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის „კივიტა გეორგიკა“-ს დახმარებით გვეძლევა შესაძლებლობა გავხსნათ სასკოლო მზაობის ცენტრი, სადაც ჩაირიცხებიან მხოლოდ ის აღსაზრდელები, რომლებსაც სექტემბრის შემდეგ უსრულდებათ ექვსი წელი და ისინი მომზადდებიან შესაბამისი პროგრამით.

ახალი კონტიგენტის მისაღებად საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია 1 ივლისიდან დაიწყო. მთავარი სპეციალისტების მიერ წარმოდგენელი სტატისტიკური მონაცემები გვაძლევს შესაძლებლობას, ვივარაუდოთ, რომ ჩვენი სკოლამდელი დაწესებულებები სრულად შეივსება. ასაკობრივი ჯგუფები, გაერთიანების წესდების თანახმად, შემდეგი ფორმით დაკომპლექტდება: ბაგის ჯგუფი–2-დან 3 წლამდე და 3-დან 6 წლამდე; შერეული ჯგუფი–3-დან 6 წლამდე.

როგორი იყო მიმდინარე სასწავლო წლის კვების მენიუ, რამდენი ჯდება ერთი ბავშვის კვება?

–სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა კვება ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად დაიგეგმა. მნიშვნელოვნად მოწესრიგდა კვების ბლოკები სათანადო დანიშნულებისა და რაოდენობის ჭურჭლით, საჯიჯაოსა და შავღელის საბავშვო ბაღებისთვის შესყიდულიქნა სამზარეულოს გარნიტური...

2014წლის ბიუჯეტი შეადგენდა 863331,5 ლარს, 2015 წელს გახდა 1 062 693,7 ლარი. წინა წელთან შედარებით გაიზარდა კვების, საკანცელარიო და სამეურნეო მომსახურების ხარჯები. შეიცვალა საშტატო რიცხოვნობა, გაერთიანებაში დაინიშნა ექიმ-პედიატრი.

კვების მენიუ გახდა მრავალფეროვანი. თითოეულ კერძზე ექიმ-პედიატრის მიერ შედგენილია ბარათი, რომელშიც მითითებულია კერძებში შემავალი პროდუქტების განაწილება, მასში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობით. 2015 წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შეიცვალა კვების რაციონი, რომლის შემადგენლობაშია არაჟანი, ორცხობილა, ფუნთუშა, ქათმისა და ძროხის ხორცი, თევზი.... ერთი ბავშვის დღიური ნორმა შეადგენს 1.42 ლარს.

სკოლამდელ დაწესებულებებს კვების პროდუქტებით ამარაგებს ი/მ „მერაბ ჯალაღონია“ და შპს „ვირშელი“, პურ-ფუნთუშეულითი/მ „ჯუმბერ ალანია“;

როგორი იყო საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის საერთო მდგომარეობა. რა გაკეთდა მის მოსაწესრიგებლად?

–საბავშვო ბაღების ინფრასტუქტურა, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები უმეტესწილად სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ხორციელდება. წელს სოფლის პროგრამით 14 საბავშვო ბაღში იგეგმება რემონტი. საბავშვო ბაღებში ძირითადად მოსაწესრიგებელია წყლისა და კანალიზაციის სისტემები. ახალი სასწავლო წლისათვის ქალაქ ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება.

ბავშვებს გარდა კარგი გარემოსი, სჭირდებათ განათლების მიღება, რამდენი აღმზრდელ-მასწავლებელი გყავთ, მოხდა თუ არა მათი დატრენინგება, რა უნდა იცოდნენ ბაღგავლილმა ბავშვებმა, მოახერხეთ პროგრამა მაქსიმუმის გაკეთება?

–დამეთანხმებით, რომ სკოლამდელი პერიოდი ბავშვის ფიზიკური აღზრდისა და გონებრივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპია. საბავშვო ბაღში ბავშვებს უყალიბდებათ შემეცნებითი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური უნარები და სკოლაში მიმავალთ გააჩნიათ სრული მზაობა იმისა, რომ წარმატებით გააგრძელონ სწავლა-განათლება მომდევნო ეტაპზე. ჩვენი სკოლამდელი განათლების პროგრამა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით. იგი ეფუძნება, „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს“. სასკოლო ჯგუფის აღსაზრდელმა იცის ანბანი, ცნობს მა-

8

„საქართველოს მზეო“

„განათლება, სწავლა, ცოდნა და სულიერება–აი, ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენ ცხოვრებას“ ამბობდა ილია ჭავჭავაძე, მანვე მოუწოდა, ყოველი ეღონათ, ამ უიშვიათესი წამლის გასამრავლებლად.

მინდა მოგიყვეთ ადამიანზე, რომელიც ხობის №3 ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებელია. შესანიშნავი ფოლკლორისტი, სათნო, სულიერად ამაღლებული, დახვეწილი, რომელიც მთელი რუტინებით ემსახურება ეროვნულ საგანმანათლებლო საქმეს. ის სკოლამდელ აღსაზრდელებთან მუშაობაში სულს აქსოვს, რათა ჩამოუყალიბოს მათ მაღალი ესთეტიკური გემოვნება.

მარინე იზორია, მასწავლებელი, შესანიშნავი დედა და ახალგაზრდა ბებია გახლავთ. ასეთ აღმზრდელს ბევრი ბაღი ინატრებდა, ბედნიერია ის ბავშვები, რომლებთანაც ასეთი ნიჭიერი მასწავლებელი მუშაობს და მოღვაწეობს.

მომეცა საშუალება ამ ადამიანს უფრო ახლოს გავცნობოდი და მის სულიერ სამყაროში ჩამეხედა. ის არის ნიჭიერი შემოქმედი, დახვეწილად მოსაუბრე და განათლებული, ამაში სხვებიც დამემოწმებიან, ვისაც მის მუსიკალურ სამყაროსთან ჰქონია შეხება, მისი სახე დღეს, ის მოზარდებია, რომლებიც ხვალ სკოლის კარებს შეაღებენ. კიდევ ერთხელ დაემშვიდობებიან საყვარელ აღმზრდელს და მშობლიურ ბაღს.

ქალბატონ მარინეს რამდენიმე შეკითხვით მივმართე. პასუხიც თავისებური მივიღე.

ბავშვებთან და მშობლებთან ურთიერთობისას მიზანი როგორ მიიღწევა?

–ბავშვის პიროვნება სრულად მაშინ გაიფურჩქნება, როცა აღზრდის პრინციპები პატივისცემასა და სიყვარულზე იქნება დაფუძნებული, მთავარია უფრო გულისხმიერად მოვეკიდოთ ბავშვების გრძნობებს, უფრო მეტად ვიზრუნოთ მშობლებსა და შვილების კარგი ურთიერთდამოკიდებულების შენარჩუნებაზე.

რამდენი წელია ბავშვთა აღზრდას ემსახურებით?

–ფაქტიურად სკოლიდან დაიწყო ყველაფერი. ჩემმა ქართულის მასწავლებელმა მაზიარა ფოლკლორს, ის თვითონ მღეროდა და ჩემში თავიდანვე ჩადო „ენა, მამული და სარწმუნოების“ სიყვარული. მანვე გამიღრმავა სამშობლოს მცნება და დღეს, მეც იგივეს ვაგრძელებ პატარა აღსაზრდელებთან.

თქვენში დიდი სულიერი ნათელია–მოთმინება, თავდაჭერილობა, ეთიკის ყველა ნორმის დაცვით, ძალიან მიკვირს, როცა თავად სულიერ ცხოვრებას არ ეწევით საიდან, როგორ?

–პირველ რიგში ღვთისგან, მერე კი დედისგან.

თქვენ ახლებურ მიდგომებს იყენებთ წარსულის ფასდაუდებელი საგანძურიდან. ჩვენი ერის კულტურის გადარჩენას ემსახურებით, ამით უიოლებთ და ულამაზებთ ცხოვრებას, როგორც ბავშვებს, ასევე თქვენს გარშემო მყოფებს: როგორ ახერხებთ ამას?

–ბავშვები ჩემთვის უმთავრესია, ისინი დაუწერელი დაფაა, სადაც სულიერი ასოებით უნდა დავწერო „სამშობლოს სიყვარული“, ჭეშმარიტად დარწმუნებული ვარ, ამ სიყვარულს ზიარებულნი ცხოვრებაში მრუდე გზით არასოდეს გაივლიან.

რას ინატრებდით მომავალში თქვენი ბაღისთვის?

–ჩემი ყოველი წარმატება ჩემი კოლექტივის წარმატებაცაა, ისინი მხარში მიდგანან ყველა კეთილი საქმის განხორციელებაში, ერთ მუჭად შეკრულნი, ერთად ვემსახურებით მომავალი თაობის აღზრდას, ვინატრებდი ყველაფერ საუკეთესოს მათთვის.

თქვენი ღონისძიების თემა იყო დიდი აკაკის ლექსიდან აღებული ციტატა „ჩონგური საქართველოა სიმები ჩვენ ვართ ყველაო“?

–დიახ, სწორედ, რომ საქართველოა ჩემი შემოქმედების მუზა, რომელიც უნდა გადარჩეს თავის სიმებიანად და მომავალ თაობებშიც ომახიანად ჟღერს, როგორც ახლა მღერიან ჩემი პატარები.

„ჯეჯილო და ტყეო, სულ
იშრიალეო
საქართველოს მზეო! სულ
იგიზგიზეო“...

ღმერთმა, დაგლოცოთ და გაგახაროთ. ეს საქმე ღვთის მადლით გეკეთებინოთ.

ლალი ჭედია.

ტელეგადაცემა „იმედის კვირის“ სიუჟეტის ექო...

იმთავითვე მინდა მკითხველთან შევთანხმდე, რომ გადაცემის ანალიზს არ ვაპირებ, მაგრამ არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ ტელევიზიის ქართული არხების ყველა გადაცემიდან თითქმის ერთნაირად იღვრება შური, უმადურობა, ჭორი. ზოგჯერ იმდენად უხვად, რომ იძულებული ხდები უკეთეს შემთხვევაში სხვაგან გადართო.

ამჯერად „იმედის კვირის“ იმ გადაცემის ერთ ნაწილზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რომელიც საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ გოდერძი ბუკიას ეხებოდა. სიუჟეტმა ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია, რადგან მთელი სიუჟეტი სიცრუეზე იყო აგებული.

უნდა ითქვას, რომ დიდი ალბათობით ზოგადად, არჩევნების წინ დაპირებათა ისეთი ბუმია, შეიძლება, და უმეტეს

შემთხვევაში რეალობაც ასეთია, რომ უამრავ დაპირებათა ფონზე ადამიანი არჩევანში ცდება, მაგრამ ერთსადაიმავე პიროვნებაზე ოთხჯერ არჩევანის გაკეთებისას შეცდომა გამორიცხულია, და თუ ასეა, ეს მართლაც ამომრჩევლის გონებრივ სიბეცეზე მიუთითებს (უფალმა დაგვიფაროს ამ უბედურებისგან). ეს დაუშვებელია იმიტომაც, რომ დეპუტატობის კანდიდატი ჩვენი კუთხის შვილია, აქ გაზრდილ-დავაჟკაცებული და „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“. (ამის დასტური იყო თუნდაც თავის ოდაბადეში გადახდილი ქალიშვილის ქორწილი, შვილებისა და მისი მონაგარის ხშირი სტუმრობა და მშობლიური კუთხის მოსიყვარულება).

სიუჟეტიდან ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს დეპუტატს არჩევიდან-არჩევამდე ხობელებისთვის არა გაუკეთებია რა. მაგრამ როცა არსებობს მის მშობლიურ სოფელ პირველ მაისში, ბათუს მთაზე, მის მიერ აშენებული მონასტერი, სადაც საქართველოში პირველად კიევის პეჩორის ლავრიდან ჩამოტანილი წმიდა მამათა უხრწნელი ნაწილები ინახება, სადაც პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II რეზიდენციაა (სასიამოვნოა მისი უდიდებულესობის მრავალგზის სტუმრობის გახსენება). ან კიდევ საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“, რომ ელმაც ახლებურად აღორძინა ქართული ფოლკლორი, ქართული პოლიფონიური მუსიკა.

მისი ინიციატივით დაარსდა ძუკულოლუას სახელობის ქართული სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო), რომელსაც ევროპაში ანალოგი არა აქვს.

არაფერს ვამბობთ იმ ქველმოქმედებაზე, რასაც ბატონი გოდერძი ბუკია და მის მიერ დაარსებული განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ აკეთებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, მისი დაუნახაობა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია თუ უზნეობა არა.

გულდასაწყვეტია იმაზე საუბარი, რომ დეპუტატს ხალხი არ იცნობს და ისიც, რომ ერთი პოზიტივი არ მოიძებნა ადამიანზე, რომელსაც ხალხმა საპარლამენტო არჩევნებზე ოთხჯერ ჩააბარა დეპუტატის მანდატი.

სიუჟეტში რაც ითქვა, ეს იყო ამომრჩევლისთვის თვალებში ნაცრის შეყრა, კამერებთან ყურით მოყვანილი ადამიანების უმადურობა. აშკარა იყო, რომ ეს გაკეთდა მიზანმიმართულად, რაც სამწუხაროდ, ხშირად ხდება ქართულ ტელესივრცეში, თუმცა მიზანმა ვერ გაამართლა. ხობელმა საზოგადოებამ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი თავისი რჩეულის მოღვაწეობას და მრავალთაგან რამოდენიმემ საჭიროდ ჩათვალა საჯაროდ ეთქვა სიმართლე. ლოგიკურია, ამომრჩეველი იხსენებს იმ სიკეთეს, რაც მან ხობისა და ხობელებისთვის გააკეთა.

განსჯა მკითხველისთვის მოგვინდვია.

P.S. ამასწინათ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში შეკრებილმა ადამიანებმა ბევრი რამ გაიხსენეს, რაც ბატონ გოდერძი ბუკიას სახელთან არის დაკავშირებული, თუნდაც როცა ქვეყანაში მძიმე ყოფა იყო, პედაგოგებისთვის გამოგზავნილი საჩუქრები (მაჯის საათები, საკვები პროდუქტები), სოციალურად დაუცველებისა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის სახელდახელო ნობათები. მის მიერ დაფინანსებული სოციალურად დაუცველთა მკურნალობა და ოპერაციები, მოსახლეობისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსება, ყულევის ტერმინალის იდეა და განხორციელება, ფესტივალის აღმოჩენის–ხობელი ნინო გოთოშიას ოჯახთან ერთად დედაქალაქში გადაყვანა, მისთვის სასწავლო და საცხოვრებელი პირობების შექმნა, ანსამბლ „რუსთავთან“ ნინო გოთოშიას ახლახანს გამოშვებული დისკის ჩაწერის დაფინანსება, ხობი–ჩხოროწყუს გზის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება და მრავალი სხვა საკითხი, რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

რაც ჩვენ გამოგვრჩა (ან შეგნებულად ავარიდეთ თავი) ჩამონათვალზე ცოტა როდია. ასე, რომ სიკეთე არ იკარგება, ხალხი თავად არის უტყუარი მსაჯული.

ამაზე ის სამადლობელიც მეტყველებს, რაც დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა გამოხატეს.

წინ ახალი პროექტებია, ამაზე მეტყველებს ხორგაში მიმდინარე მშენებლობები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. ქ. ხობში ორი დიდი ქარხნის მშენებლობის საფუძვლის ჩაყრა, რომლის მშენებლობის დამთავრება ნოემბერშია გათვალისწინებული. იმედია გოდერძი ბუკია ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მრავალ პროექტს შემატებს.

მერი ლაგვილავა.

როცა გოდერძი ბუკიას ცხოვრების ამსახველ მასალებს ვათვალიერებდი, შემთხვევით წავაწყდი ცნობილი ჟურნალისტის, სპარტაკ ქობულიას ბლიც ინტერვიუს, ასევე ცნობილ მწერალ ოტია იოსელიანთან.

გოდერძი ბუკია მეორეა, რომელსაც ერთი გენიოსის გამონათქვამს ვუსადაგებ: როდესაც მასზე ვფიქრობ, მკერდში თითქოს მზე ამომდის... როცა ერთი კაცის ღმერთისმიერ სრულქმნილებას მზეს ადარებ და გული გინათდება, რაც არ უნდა გამოცდილი კალმოსანი იყო, „უბრალო“ სიტყვების მოძიება გიჭირს და სხვას ესესხები.

მაგალითად, გოდერძი ბუკიას საშვილიშვილო საქმეთა შეფასებაში უპირველესად საქვეყნოდ ცნობილ მწერალს, უფრო ზუსტად „ქართველ მწერლებში ყველაზე დიდ გლეხს და გლეხებში ყველაზე დიდ მწერალს“ ოტია იოსელიანს დავესესხები.

–რას შობა კაცო, აი კაცი, არ გადარია ყოვლისმომსწრე მეგრელები? რავა წარმოვიდგენდი ვინცხა გოდერძი ბუკია ამდენს თუ შეძლებდა? გზების გაყვანაო, ტაძრების მშენებლობაო, გაჭირვებულ ბაღნებზე და სტუდენტებზე დახმარებაო, ამხელა ფესტივალი რავარი მოსაწყობია, საიდან მეიტანა, რაფრა მოაფიქრდა.. საჩხერეში ვიყავი ამას წინათ ...გვარისა და სახელის ხსენებას მიკრძალავს.. ვნახე მარა რა ვნახე, იმ კაცის მერე მეორე კაცია გოდერძი, რომელიც ფულს მიწაში კი არ მალავს, საკუთარ ხალხს ახმარს..

–ი, იმერელი კაცი ბიძინა ივანიშვილია, ხომ! –ვეუბნები დინჯად.

–ვინ გეკითხება შენ ვინცხაა, თვითონ ასე ბრძანებს, ჩემი სახელი არ ახსენოთო...

–ივანიშვილს, ღვთის წყალობით, დიდი ფული აქვს, მარტოოდენ რუსთაველის თეატრს 7 მილიონი ლარი შესწირა.

–ა, გამოაფიჩინე ახლა მისი მილიონები... ფული ღვთის წყალობით იშოვაო რომ უბნობ, ის რატომ გავიწყდება უფალმა რა გვითხრა?

–რაო? მაინც რა გვითხრა?

–რაო და, ხელი და თავი გაანძრიეთ და გეშველებათო. გოდერძი ბუკია იმდენს წვალობს თურმე, ღამეები არ ძინავს და ვიდრე საქმეს არ ააწყობდა, სულ ჰაერში ყოფილა გამოკიდებული..

–მაგი ახლაც მასეა, გაჩერებულს ვერ ნახავ.

მეტს ნუღარ გავაგრძელებთ, ბატონ ოტია იოსელიანთან საუბრის მთავარი მორალი ის იყო, რომ ზოგიერთი „ქველმოქმედი“ თავსმოხვეულ ფესტივალებს და რაღაც კონცერტებს საკუთარი ჯიბის გასასქელებლად აწყობს, გოდერძი ბუკია და მისი მეგობრები კი ეროვნულ ფესვებს უბრუნდებიან და ქართული ფოლკლორის აღორძინებას, ხალხური სიმღერის გადარჩენას უწყობენ ხელს.

სპარტაკ ქობულია

ვფიქრობ, ეს ინტერვიუ დღესაც არ კარგავს აქტუალობას, საფესტივალო წელია და გადავწყვიტეთ მკითხველისთვის შეგვეხსენებინა ერთი ფრაგმენტი ინტერვიუდან.

ტელეგადაცემა „იმედის კვირის“ სიუჟეტის ექო...

„პირზედ მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?“

ვინ არის ჩვენთვის მოყვასი? ეს კითხვა მაცხოვარმაც დასვა სახარებაში. ყველა ადამიანი მოყვასია, ისიც, ვინც შეურაცხგვყოფს, ვისგანაც სიკეთე არ მიგვიღია, თუნდაც წყენაც გვახსოვს, ისიც კი მოყვარედ უნდა გავხადოთ.

ხშირად მიზეზად ასახელებენ მძიმე სოციალურ მდგომარეობას–უმუშევრობას, დაბალ ხელფასს და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არის, წამახალისებელი ფაქტორი გაღიზიანებისა, შფოთისა, ურთიერთდაუნდობლობისა, რაც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში გამოიხატება გაუტანლობით, კეთილი საქმის კეთებაში სხვისი წვლილის დაუნახაობით. უმადურობა-სირცხვილიცაა და დიდი ცოდვაც. ცოდვა შფოთით აღავსებს სულს, ამღვრევს და აბნელებს გონების თვალს. ქართული სიბრძნეა „პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა“. ან „სადაური წესია სხვის ჯიბეში ფული თვალო“. სიმდიდრე ადამიანს ღვთისგან ნიჭის სახით ეძლევა, თუ უფალმა არ ინება, არა თუ სიმდიდრის მოპოვება, ნაბიჯის გადადგმასაც ვერ მოვახერხებთ. მაგრამ შემდეგ თვით ადამიანზე მის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული თუ როგორ გამოიყენოს იგი. ჩვენდა საბედნიეროდ გვყავს ქართველებს–სამშობლოზე, ოდაბადეზე, მოყვასზე უკიდეგანო სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები, რომელთათვის ეროვნული კულტურის, განათლების, ისტორიის მსახურება, გაჭირვებულთა ქომაგობა, ნიჭიერი ახალგაზრდების დაკვალიანება, სარწმუნოების პატივისცემა–მათი ცხოვრების წესის ძირეული პრინციპია. მისაბაძი ქართველების კოჰორტაში ერთ-ერთი პირველთაგანია გოდერძი ბუკია.

დავესეხები წმინდა თეოფანე დაყუდებულს: „სხვა რომ განვიკითხოთ ამისათვის საჭიროა კარგად ვიცოდეთ ვინა ვართ ჩვენ და რა ცოდვები გვაქვს“.

ჩემო ხობელებო, ღვთის გულისათვის, გვიყვარდეს ერთმანეთი. ნუ გავიმეტებთ ერთურთს იოლად გასაკიცხად და მან ესროლოს ქვა გოდერძი ბუკიას, რომელმაც მასზე მეტი გააკეთა ჩვენი რაიონისათვის, ერთი დეპუტატის თუ ერთი კაცის კვალობაზე.

ნანა ჯალალონია,
ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“-ს დირექტორი

ჩემი მთავარი პრინციპი იყო პირველ რიგში განათლების სფეროსთვის მიმექცია ყურადღება.

..თუ ადამიანს არა აქვს განათლება, მას დღეს ძალიან გაუჭირდება რაიმეს მიაღწიოს. მართალია, დღეს თითქოს არ არის სამუშაო ადგილები, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ადგილებიც გამოჩნდება. ამ ადგილებზე კი განათლებული მუშახელი იქნება საჭირო. ამიტომ, პირველ რიგში, შევქმენით კომპიუტერული ცენტრი, დაარსდა უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილება, მოგვიანებით ფონდის თაოსნობით სამხატვრო სკოლაც გაიხსნა“.

გოდერძი ბუკია.

ბატონი გოდერძი ბუკიას ხელმძღვანელობით ხობში 2000 წელს გაიხსნა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის უფასო მოსამზადებელი განყოფილება. ხუთი წლის განმავლობაში მოსამზადებელი განყოფილებიდან აღნიშნულ უნივერსიტეტში ჩარიცხულ იქნა 214 ხობელი ახალგაზრდა. ზოგიერთი მათგანი დღეს ხობის მუნიციპალიტეტის ხვადასხვა სამსახურებში მუშაობს.

მარტო ფესტივალი „სიმღერა საქართველოზე“ და ძუკუ ლოლუას ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის შექმნა, ხომ უდიდესი და საქვეყნო საქმეა.

გამგებლის მოდგილედ მუშაობის პერიოდში, როცა განვაგებდი სოციალურ და დევნილთა საკითხებს, მომსწრე და თვითმხილველი ვარ, თუ როგორ ეხმარებოდა ბატონი გოდერძი აფხაზეთიდან დევნილებს. ძალიან შორს წამიყვანს ჩამოვთვალო ყველაფერი ის, რაც ბატონ გოდერძის გაუკეთებია ხობისა და ხობელებისათვის.

რაც შეეხება „იმედის კვირის“ გადაცემის სიუჟეტს, მითქვამს და ვიმეორებ, ყველაფერი ეს შეთითხნილი და სიმართლეს მოკლებულია.

ბეჟან ნადარაია

გოდერძი ბუკია–სპორტის გულშემატკივარი

გოდერძი ბუკიას თაოსნობით 1998 წელს ხობის „კოლხეთის“ ისტორიაში პირველად განხორციელდა საერთაშორისო ტრანსფერი (რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე თენგიზ ჭიჭინაძის ტრანსფერში გადახდილიქნა 1500 დოლარი).

1999 წელს ხობის „კოლხეთმა“ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება გადასასვლელი შეხვედრა დააფინანსა გოდერძი ბუკიამ.

ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი მისი თაოსნობით იქნა შენარჩუნებული.

საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ დააფინანსა 2006–2009 წლებში (დაახლოებით 300,000 ლარამდე).

დეპუტატის მხარდაჭრით ხობის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე დასამონტაჟებლად ჩამოტანილიქნა 1500 ინდივიდუალური სკამი. ქ. ხობში გაკეთდა ქართული ჭიდაობის მანეჟი.

იგი არის ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი „ჯეტიქსის“ ორგანიზატორი და დამფუძნებელი.

გ. ბუკიამ 2002 წელს, 3000 დოლარით დააფინანსა ხობის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა გუნდი ქ, კიევში საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობა, გუნდის ტრანსპორტირება და დაბინავება.

2004 წელს ქ. კიევში იმავე ტურნირში მონაწილეობისთვის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან თანადაფინანსების სახით გადაიხადა 3000 დოლარი.

ლევან ლემონჯავა.

* * *

მე სოციალურად დაუცველი, მარტოხელა დედა, ვარ იმ ეკლესიის მრევლი, რომელიც ბატონმა გოდერძიმ ააშენა. ყოველი წლის შობას და აღდგომას ჩემი კატეგორიის ხალხს სადღესასწაულო სუფრას გვილამაზებს მისგან გამოგზავნილი ნობათები. და რაც მთავარია, ამ პატარა სოფელში გვაქვს პატრიარქის რეზიდენცია და გვქონია პატივი გვემასპინძლა მისთვის და უფალს შევთხოვთ კიდევ ერთხელ მოგვცეს იმის შესაძლებლობა, რომ მივიღოთ პატრიარქის დალოცვა.

ციცინო აბულაძე.

* * *

ვარ მრავალშვილიანი ოჯახის მამა. ყოველ წელს შობას და აღდგომას ვღებულობ ლამაზ ნობათებს ბატონი გოდერძისგან, იგი ჩემი სოფლის მკვიდრია, ვიცნობ მის ოჯახს, რომელიც გამოირჩევა სოფელში კაცთმოყვარეობით, ადამიანობით. ჩვენ გვეიმედება ბატონი გოდერძი, მის მიერ აშენებულ ტაძარში ლოცულობენ ჩემი შვილები

ახმედი კვიკვინია.

* * *

ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი, გამიკეთდა ფეხის ამპუტაცია, მივეჯაჭვე ინვალიდის სავარძელს, შვილის გარდაცვალების შემდეგ მარტო ვზრდი ორ შვილიშვილს, ძალიან გამიჭირდა ეკონომიურად, მივმართე მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს, რომლის წარმომადგენელია რევაზ წულაია, გაახარებს უფალი, დამიფინანსეს თბილისში მკურნალობა. თუ კვლავ გამიჭირდება, იმედი მაქვს ისევ გვერდში დამიდგებიან. მეიმედება ბატონი გოდერძი და მისი ბიურო.

თამაზ ფაცია, *პირველი მაისი.*

* * *

მე და ჩემმა შვილებმა წლები თითქმის ჭერის გარეშე გავატარეთ, იმ მძიმე წლების გახსენებაც არ მინდა...

მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ ფონდ „იავნანასთან“ ერთად საცხოვრებელი სახლი შეგვიძინა, მადლობა მათ.

ძნელია სიტყვით გადმოგცეთ ჩვენი სიხარული. ბედნიერება კიდევ სხვა რამეა?

მთვარისა გიგაშვილი,
სოფელი ჭალადიდი.

თემატიკურ ციფრებს და ითვლის 20–მდე... ჩვენმა აღმზრდელ–მასწავლებლებმა მაქსიმალურად შეძლეს სამუშაო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების განხორციელება. ამას მოწმობს საბავშვო ბაღებში წარმატებით ჩატარებული ღია მეცადინეობები, შემაჯამებელი აქტივობები.

30 საბავშვო ბაღში 50 ასაკობრივი ჯგუფია და შესაბამისად 50 აღმზრდელ–მასწავლებელი ემსახურება პატარების აღზრდას.

აღმზრდელ–მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები თემაზე: „თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“ და „სააღმზრდელო– დიდაქტიკური მუშაობის დაგეგმვა“.

„ჩვენ მზად ვართ! კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოს საბავშვო ბაღებში“ პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია გაზარდოს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და მათი აღმზრდელ–მასწავლებლების დაცულობა და ინფორმირებულობა, საბავშვო ბაღის მთავარმა სპეციალისტებმა და აღმზრდელ–მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი თემაზე „პირველადი სამედიცინო დახმარება“.

ზაფხულის თვეებში იგეგმება აღმზრდელ–მასწავლებელთა გადამზადების მეორე ეტაპი. გაერთიანებაში დაგეგმილ სემინარებზე, საბავშვო ბაღებში ჩატარებულ ღია მეცადინეობებზე აღმზრდელები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მიღებულ რეკომენდაციებს ეფექტურად იყენებენ შემდგომი მუშაობის დასაგეგმად.

გვყავს ძალიან წარმატებული მასწავლებლები: ნათია შონია, ლალი დევნოზაშვილი, ნანა ქაშიბაძე, ნატო ცხადაია, ნონა შონია, ქეთინო აბშილავა, მზისა გელაშვილი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით და ერთგულად ემსახურებიან პატარების სწავლა-აღზრდის საქმეს.

მიმდინარე სასწავლო წლის საუკეთესო მუსიკის მასწავლებლად გაერთიანების მიერ დასახელდა ქალაქ ხობის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებელი მარინა იზორია. დაუვიწყარია ამ ქალბატონის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი აქტივობა „მუსიკის ჰანგები“. ხობის №3 ბაგა–ბაღის აღსაზრდელების გამოსვლა ძალიან წარმატებული იყო საქველმოქმედო აქციაში–„ჩვენ და მარიამი“, ეგრისობაზეხალხური შემოქმედებით წარდგნენ და პრემიერ მინისტრის მხრიდან მადლობა დაიმსახურეს.

საერთოდ, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში; საბავშვო ბაღებში იმართება მხიარული სპორტული ღონისძიებები.

ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, პატარების შესაძლებლობებს მივცეთ სრული არეალი, ვიზრუნოთ მათზე, შევუქმნათ კარგი, მიმზიდველი და უსაფრთხო გარემო.

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ჩარიცხულ 1075 აღსაზრდელს გადაეცა სასაჩუქრე პაკეტი.

მინდა აღვნიშნო, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები. მუნიციპლიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში ყოველთვიურად ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, რომელსაც ასრულებს შპს „სადეზინფექციო ცენტრი ჰიგია+“. საბავშვო ბაღის თანამშრომლები ყოველი კვირის ბოლოს ახორციელებენ სანიტარულ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების წესების დაცვით.

თუ რამდენად აკმაყოფილებს მოთხოვნებს საბავშვო ბაღებში მიწოდებული სასმელი წყალი, ჩატარდება წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი. სანიტარულ-ჰიგიენური წესების დასაცავად საბავშვო ბაღებისთვის შესყიდულიქნება დეზობარიერები. გაერთიანების 14 საბავშვო ბაღი მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგებიდან, 3 ბაღი-წყაროს წყლით, 13 ბაღი კი-ჭის წყლით. საერთო ჯამში, წყლის ანალიზის ჩატარებაზე და დეზობარიერების შესყიდვისთვის, გათვალისწინებულია 7 395 ლარი.

ღონისძიება „უსაფრთხოება იწყება ბაღიდან“ პროგრამის „ჩვენ მზად ვართ! კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოს საბავშვო ბაღებში“, ფარგლებში გერმანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი(Fi,)“ გადაამზადა სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლები. ქალაქ ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღმა უმანსპინძლა რეგიონში პირველ შემაჯამებელ ღონისძიებას „უსაფრთხოება იწყება ბაღიდან“. საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელების მონაწილეობით ჩატარდა მიწისძვრის სიმულაციური თამაში. დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მედიის წარმომადგენლებმა ცენტრალური და რეგიონალური მედიასაშუალებებიდან, სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა.

რა პრობლემები გაქვთ, რისი გაკეთება მიგაჩნიათ საშურად, გყავთ თუ არა სპონსორები, როგორ გეხმარებათ ადგილობრივი ხელისუფლება?

–სკოლამდელ დაწესებულებებში პრობლემურია საშტატო რიცხოვნობა. თანამშრომელთა ძირითადი მოთხოვნაა საშტატო ერთეულების გამთლიანება და შესაბამისად სახელფასო სარგოების გაზრდა. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, იქნება გათვალისწინებული თანამშრომელთა მოთხოვნები.

გაერთიანების საქმიანობა ძირითადად ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება. სპონსორები, სამწუხაროდ, არა გვყავს. ძირითადად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში პირველი მაისის საბავშვო ბაღში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის“ პროექტის ფარგლებში, გაერთიანების თანადაფინანსებით უზრუნველყო წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „საერთაშორისო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის „კივიტა გეორგიკას“ დახმარებით მიმდინარე სასწავლო წელს გაიხსნა ახალი ჯგუფები ქვემო ქვალონისა და შავღელის საბავშვო ბაღებში.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB)“ საბავშვო ბაღები მოამარაგა სამედიცინო დახმარებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; ეს ორგანიზაცია ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, რომელიც შეირჩევა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, გეგმავს რემონტს.

სკოლამდელი განათლება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პრიორიტეტად სახელდება. ინფრასტრუქტურული თუ სხვა ღონისძიებები მათი სრული მხარდაჭერითა და დახმარებით ხორციელდება.

თქვენი სურვილები...

–მინდა ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო ჩვენს პატარებს. დღევანდელზე უკეთესი მომავალი, საუკეთესო ბაღები ჰქონდეთ მათ. უამრავი აუცილებელი რამ მოიცდის ბავშვის გარდა, მისთვის პასუხი ვერ იქნება „ხვალ“, მისი მოთხოვნაა „დღეს“.

სკოლამდელი განათლება უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაში და სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების საქმიანობა, ადგილობრივი ხელისუფლების სრული მხარდაჭერით, სწორედ პატარების კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული.

ესაუბრა მანანა შულაია

სკოლამდელ დაწესებულებებში

„ბავშვზარდეთ,დავფრთიანდით, ჩვენ სკოლაში მივდივართ“

ბავშვები ცხოვრების უტყუარი სარკეა და თუკი მათი სულიერი და ზნეობრივი ფორმირებისთვის დროულად ვიზრუნებთ, გვეყოლება ძლიერი თაობა, ანუ გვექნება ხვალინდელი დღე.

კარგ მასწავლებელს, შეუძლია და ევალება კიდევაც იყოს არამარტო მასწავლებელი, არამედ ნორჩთა სულის მოძღვარი. პედაგოგობა მოწოდებაა და თითეული ჩვენთაგანის მეხსიერებაში სწორედ ის მასწავლებლები რჩებიან ბოლომდე, ვინც ცხოვრება გვასწავლა. ასეთი ადამიანები ნამდვილად არ აკლია ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ბაგა-ბაღებს.

შუა ხორგის საბავშვო ბაღი

შეუმჩნევლად გაირბინა სანეტარო წლებმა, საბავშვო ბაღის უფროსჯგუფელები წლეულს სასკოლო ზარის ხმაზე მერხებს მიუსხდებიან და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაებმებიან.

სწორედ ბაღიდან მათ გაცილებას მიეძღვნა გამოსაშვები საღამო, რომელიც შუა ხორგის საბავშვო ბაღის ეზოში საგულდაგულოდ მოწყობილ „სცენაზე“ გაიმართა, ჟღერდა

საქართველოს ჰიმნი...

ქართული, ეროვნული სულით გაჟღენთილი ღონისძიება, ბავშვური უშუალობით კარგად გაახმოვანეს პატარებმა. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა სანთლებით ხელში აუღელვებლად შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. ჩანდა, რომ ზოგიერთი მათგანი პირველად წარსდგა აუდიტორიის წინაშე, მაგრამ მაინც ყველაფერი გამოსდიოდათ და უხდებოდათ კიდეც. იყვნენ „გამოცდილებიც“ თავისუფლად რომ ეჭირათ თავი და „პროფესიულ დონეზე“ ავლენდნენ თავიანთ ხელოვნებას.

უყურებ მათ და გჯერა გამონათქვამის „ბავშვი იცინის და მომავალი იჭედებაო.“

ზეიმს მშობლების და ახლობლების გარდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, შუა ხორგის თემის დეპუტატი ბატონი ედიშერ ჯობავა, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები დოდო გაბუნია, გოჩა სიჭინავა, ტარიელ ალექსანდრია, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია და სხვები ესწრებოდნენ.

ზეიმი სხვა ღონისძიებებისგან, იმით იყო გამორჩეული რომ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, ჭკვიანთა შორის ჭკვიანის გამარჯვებულს ბექა ქარდავას ქების სიგელი და ბაღს საჩუქრად დანაპირები ელექტრონული პიანინო გადასცა და თქვა: ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან ყოფნა ჩემო პატარებო, ღმერთმა დალოცოს თქვენი გზა-სავალი. გვწამს მომავალში არა მარტო მშობლიურ ბაღსა და სკოლას, არამედ მთელ საქართველოს ასახელებთ. მე კი გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მომავალში აღსაზრდელებს უკეთესი პირობები გქონდეთ.

გაიხარეს პატარებმა, მშობლებმა, საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა და დიდი მადლობა გადაუხადეს ბატონ ედიშერ ჯობავას და მოწვეულ სტუმრებს.

ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღი

30 ივნისი დაუვიწყარი დღე იქნება ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლისთვის და აღსაზრდელებისთვის. ორიგინალურად მორთულმა დარბაზმა კიდევ ერთი თაობა გააცილა სკოლისკენ.

განსაკუთრებულად „გამოპრანჭული“ გოგო-ბიჭები მასწავლებლებს, მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს დიდი მონდომებით უჩვენებდნენ, რა ცოდნის პატრონები არიან, რა საგზალი მიაქვთ სკოლაში, რა სითბო მიჰყვებათ მშობლიური ბაღიდან. აი ისინიც, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გამოსაშვებ ზეიმზე: მერაბი, ლუკა, გიორგი, საბა, ნინო, ლიზი, ანასტასია, კახი, ბაჩუკი, აკაკი და სხვები.

სიცილი და ჟრიამული ავსებდა იქაურობას, ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებელი ქალბატონი მზია გადელია რამდენიმე წელია თავდაუზოგავად ემსახურება ამ კეთილშობილურ საქმეს და ვინ მოთვლის, რამდენი პატარისთვის დაულოცნია გზა სკოლისაკენ.

ბოლოს ნორჩებს, რომლებმაც ოთხი წელი გაატარეს ამ კერაში, გზა დაულოცა მთავარმა სპეციალისტმა ქალბატონმა მაია ცქირიამ, ერთხელ კიდევ მოაგონა მათ, რომ ეს დაშორება არ ნიშნავს განშორებას, რომ ბაღის თვალსაწიერიდან ისინი არასოდეს მიეფარებიან, უთხრა ისიც, რომ მათ აღზრდას გააგრძელებენ გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც თითოეულ მათგანს შვილებივით შეიყვარებენ. მანვე უფროსჯგუფელებს სამახსოვრო ალბომები და სიგელები გადასცა, ხოლო ჭკვიანთა შორის ჭკვიანის გამარჯვებულს მარიამ შურღაიას კი ქების სიგელი. მათ მიერ ოთხი წლის განმავლობაში პატარა ხელებით შექმნილი ნამუშევრებიც სამახსოვროდ ჩამოურიგა.

ღონისძიება თითქმის საათნახევარს გაგრძელდა. მშობლები, სტუმრები კმაყოფილებით და მადლიერებით ტოვებდნენ დარბაზს.

მადლობა საბავშვო ბაღის თითოეულ თანამშრომელს იმ ლამაზი წუთებისთვის, რომელიც მათ აღსაზრდელებს აჩუქეს.

ნაირა ბერაია.

„მის აბირე ნანა“

მუნიციპალიტეტში საჯიჯაო ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია, აქ მეკრ სახელგანთქმულ და საქვეყნოდ ცნობილ ადამიანს გაუტარებია მავშვობა და სიყრმის წლები, იმ სამაგალითო საჯიჯაოელების გვერდით, რომლებმაც ღირსეულად დაიცვეს სამშობლო და თავი შესწირეს საქართველოს ერთიანობასა და თავისუფლებას, ასეთ ადამიანებზე ერთხელ დალაშქრეს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მწვერვალები.

ჩემი რესპოდენტია გიორგი ცამაბის ყოფილი მოსწავლე, საესტრადო ანსამბლის მსახიობი, ფოლკლორის დიდი მოამაგიანე, საჯიჯაოს კულტურის სახლის ღვაწლმოსილი მუშაკი ***ქეთევან კაკაშვილი***.

რისთვის მოვდივართ ამ ქვეყნად წუთიერი მოდნიერებისთვის, ჩვენი წილი ტკივილისთვის, შემოქმედებითი აღმაფრენისთვის თუ უმრალოდ სიყვარულისთვის?

ამ კითხვებით მივმართე ქალბატონ ქეთევანს.

–ალბათ ყველაფრისთვის ერთად.

მე, როგორც ხელოვანს, უფლება არა მაქვს, კიდევ ერთხელ არ გავიხსენო და არ ვუთხრა მომავალ თაობას იმ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთი უანგარო შემოქმედებით ხელოვნებას ქმნიდნენ. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ საჯიჯაოს კულტურის სახლთან არსებული უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი „თუთარჩელა“, რომელიც ოცი

წლის განმავლობაში ავითარებდა და ინარჩუნებდა ხალხურ ფოლკლორს, იყო არა ერთგზის ფესტივალის გამარჯვებული. განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით ვიხსენებ 1990 წელს თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარებულ ფესტივალს „სამეგრელოს ჰანგები“, სადაც ანსამბლ „თუთარჩელას“ ერგო პატივი ფესტივალის გახსნისა სიმღერით, „უტუს ლაშქრული“ და „ხელმხვაი“, მას შემდეგ ეს სიმღერები მათი სავიზიტო ბარათი გახდა. დაუვიწყარია ანსამბლის სოლისტის შოთა კონჯარიას ომახიანი ხმა, რომელსაც მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა, სიმღერის უსაზღვრო მოტრფიალის, დამსახურებული პედაგოგის ციალა პერტაიას და სოფლის კოლორიტ ბატონ ინდიკო შამათავას ოჯახური დუეტი (აცხონოს მათი სული ღმერთმა), ეშხსა და ხიბლს მატებდა ჩვენს საკონცერტო პროგრამას.

ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო, იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებმაც მთელი ცხოვრება ფოლკლორს მიუძღვნეს, ესენი იყვნენ: ძველი ხიბულის ყოფილი კლუბის გამგე და ჩონგურის ვირტუოზი კოტე ქავთარაძე, ახალი ხიბულის ყოფილი კულტურის სახლის დირექტორი ამირან კაკაშვილი და ზუბის კლუბის გამგე მიშა კალანდია, ისინი ასევე იყვნენ რაიონულ ანსამბლ „კოლხეთის“ წამყვანი მომღერლები, მათი ფოლკლორული ტრიო კოტე ქავთარაძე, მიშა კალანდია და ამირან კაკაშვილი ხიბლავდა მაყურებელს და ხალხის უსაზღვრო სიყვარულს იმსახურებდა.

რაც შეეხება ამირან კაკაშვილსა და გოგონა ჭავჭანიძის ოჯახს, პრესა ასე წერდა: „კაკაშვილების ოჯახში სიმინდის ღეროც კი მღერისო“.

მე ვამაყობ, რომ ვარ მათი შვილი და ჩემი ცხოვრების ყოველი დღე სახლში და სცენაზე მშობელთა ტრადიციების გაგრძელებას ვემსახურები.

დღე და ღამ ჩემს გვერდითაა კულტურის სახლის ქორეოგრაფი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი კახა ჩიტაია. ქართული ცეკვისადმი სიყვარულით, მან მრავალი თაობა გაზარდა. სწორედ ქართული-ხალხური ცეკვის პოპულარიზაციის მიზნით სამი წელია ჩვენს კულტურის სასახლეში ცეკვის ფესტივალი ტარდება, რომელსაც თავად აფინანსებს, ამის გამო ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ, იგი ხელოვნებაში „ამაგდარი პედაგოგის“ წოდებაზე წარადგინა.

მინდა ასევე წარმოგიდგინოთ ადამიანები, რომლებიც ჩუმად, სიყვარულით ქმნიდნენ სხვადასხვა ნამუშევრებს, მათში ისინი თავიანთ სულს გამოხატავდნენ. დრომაც არ დააყოვნა, შემოქმედებამ მზის შუქიც იხილა და ნამუშევრები არაერთ ფესტივალზე იქნა წარდგენილი. განსაკუთრებული იყო ბოლო ფოლკლორის ფესტივალი, რომლის ლაურიატებიც გახდნენ.

ქსოვა–ქარგვა **ხათუნა ნადარაია**, ლითონის დამუშავება და ხეზე კვეთა ედიშერ თირქია. განსაკუთრებული სიყვარულით ვიგონებ იმას ხალხურ მთქმელს ნორა ჩიჩუას და კოტე პერტახიას, ხოლო თავისი არაჩვეულებრივი იუმორით დავით ტყეებუჩავას, რომელმაც საკუთარი წიგნიც კი გამოსცა და ნათელა ცხადაია-სერგიას.

მადლიერების გრძნობით მინდა გავიხსენო სათნო და კეთილშობილი ქალბატონი ვალიდა ნანეიშვილი, რომლისგანაც ვისწავლე პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა. მისი რჩევები დღესაც ჩემი გზამკვლევია. ქალბატონი, რომელიც სითბოთი და რუდუნებით ეპყრობოდა თითოეულ წიგნს, უსაზღვროა მისი საქმისადმი სიყვარული, ამიტომ კულტურის სამინისტრომ საბიბლიოთეკო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდება მიანიჭა. მის დანატოვარს დღესაც სათუთად უფრთხილდებიან ბიბლიოთეკის გამგე მზევინარ ყურაშვილი და ეთერ ქვარცხავა.

საგულისხმოა, რომ ამ ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებთ არჩეული საქმის ერთგულება და თავისი კუთხის, სოფლის სიყვარული.

ასევე დიდი მადლობა, პატივისცემა და დაფასება მინდა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც შემოქმედებით გზაზე ყველა დროს ყოველმხრივ ჩვენს გვერდით იდგნენ.

განსაკუთრებული მადლობა მშობლებს, მათი უანგარო კეთილი სამსახურისთვის, მადლობა სკოლის, დირექტორს ქალბატონ მაია შუშანიას, წარმატებულ პედაგოგს ბელა ქვარცხავას თანადგომისა და თანამშრომლობისთვის.

მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას, ადმინისტრაციულ ერთეულის წარმომადგენელს ბატონ ედიშერ ფოცხორაიას მუდმივად მხარდაჭერისთვის.

ეს ის ერთობაა, რომელიც სჭირდება დღეს საქართველოს.

P.S. როგორც ცნობილია ქალბატონი ქეთევანი თავადაა ყველა ღონისძიების სცენარის ავტორი, წამყვანი და, რაც მთავარია, თვალხატულა გოგო-ბიჭების თვალისჩინის სადარაჯოზე მყოფი, უსაყვარლესი პედაგოგი, რომელიც უკვე სამი ათეული წელია ცდილობს როგორც დიდებისთვის, ასევე პატარებისთვის მუსიკა, ქორეოგრაფია, ლექსი და საერთოდ ხელოვნება ცნობადი, ხელმისაწვდომი და ახლობელი გახადოს, რომ წლების შემდეგაც ისულდგმულოს იმ სიყვარულით და ღირებულებით, რომლებსაც ცხოვრებას უფრო თბილს, სასიამოვნოს, მსუბუქად ასატანს ხდის. (ამის დადასტურებაა ბევრი მისი ღონისძიება).

ამ ყველაფრის შემდეგ გვჯერა გულწრფელი ხარ შეაფასო ადამიანები, რომლებიც ასახელებენ ჩვენს ქვეყანას, როცა ტექნიკური პროგრესით გადატვირთულ ადამიანური ურთიერთობებით დაღილ ყოველდღიურობაში ხედავ ასეთ შემართებას, წინსვლას ხვდები, რა აძლევს ძალას კულტურის სახლის ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან კაკაშვილს ყოველდღიურ რეჟიმში ეძიოს ძირძველი მეგრული ხალხური და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შეკრიბოს და მაყურებელს წარუდგინოს. მისი დამსახურებაა საჯიჯაოში კულტურის სახლის აღორძინება.

მისთვის სიმღერა ოცნებაა, ფიქრია, სილამაზეა, სიყვარულია, კიდევ ბევრ საინტერესო ღონისძიებას ველოდებით მისგან.

თუ არ გტკივა, თუ არ გიყვარს მის „მის აბირე ნანა“.

გვერდი მოამზადა ნაირა ბერაიამ

მეოთხეკლასელთა „გამოშვება“

„ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა. ეს ოთხი წელიწადი, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალ-ყურძენაც“...

რატომღაც, დიდი ილიას ეს ცნობილი სიტყვები ამეკვიატა იმ დღეს, როდესაც ჩემი მშობლიური სკოლის, პირველი ხორგის მეოთხე კლასელთა ბოლო ღონისძიებებს ვაკვირდებოდი (სამწუხაროდ დემოკრატიის „შუქურებმა“ სოფელს ორსაუკუნოვანი სკოლა წაართვეს და ოთხი კლასი ძლივს შეინარჩუნეს) ბოლო-მეთქი, ვთქვი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო პირველ მასწავლებელთან დამშვიდობების აღსანიშნავი საღამო.

გაივლის დრო და ის თვალხატულა გოგო-ბიჭები თმაშეკვრცხლილნი და დაბრძენებულნი, მონატრებით წაიმღერებენ „მახსოვს პირველად სასწავლებელში“...

დიახ, ეს მერე იქნება... დღეს ისინი სწავლების პირველი საფეხურის პირველ ოთხ წელიწადს და საყვარელ მასწავლებელს უმანკო მზერით, უსაზღვრო სიყვარულით და მადლიერების გრძნობით ემშვიდობებიან. ასეთივე გრძნობას ხედავენ ისინი საყვარელი აღმზრდელის აცრემლებულ თვალებშიც. ალბათ, ოსტატსაც და შეგირდსაც ის ახსენდება, როგორ ჩაიკრა გულში მან დედობრივი სიყვარულით, ამ ოთხი წლის წინ თითოეული მათგანი, როგორ გადაუშალა ქართველთა უპირველესი წიგნი, ძეგლად ქცეული იაკობის „დედაენა“ და მრავალსაუკუნოვანი ქართული ანბანის ჯადოსნური სამყარო შემოატარა. იმ დღიდან მათთვის პირველი მასწავლებელი გახდა მისანი, რომელმაც ამ ჯადოსნური სამყაროს ყველა საიდუმლო იცის. მისი წყალობით პატარებმაც გაიგეს, რომ „ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს“...

„ენა, მამული სარწმუნოება“–თვალისჩინივით გასაფრთხილებელი ეს წმინდა სამება გასდევდა ლაიტმოტივად მეოთხეკლასელთა „გამოსაშვებ“ საღამოს. სწორედ მას მიუძღვნეს პატარებმა ყველაფერი, რაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ისწავლეს და ლექსის, სიმღერის თუ ცეკვის სახით სამშობლოსადმი გულწრფელი სიყვარული გადმოსცეს.

კითხულობდნენ ქართველ მწერალთა შედევრებს, რომელთა წყალობით მათ უკვე იციან „ვისი გორისანი“ არიან, რომ გმირ წინაპართა სულები მოუწოდებენ ჟამთასვლისკენ. გაყვითლებული „ქართლის ცხოვრების“ მატეანეში მუდმივად თვალის ცეცებას, ყოველი ბწკარის „ახლით განჩხრეკას“ რომ „სამშობლო, ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია“.

დიახ, ეს ყველაფერი და ბევრი სხვა რამ მასწავლებლების ნინელი ჭითაშვილის და ლალი შონიას მოწაფეებმა იციან, ხვალ უფრო მეტს გაიგებენ, წაიკითხავენ, ისწავლიან და მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად მოახმარენ თავიანთ ქვეყანას, ამისთვის საძირკველი უკვე ჩადებულია.

დარწმუნებული ვარ, ამ პატარების ტვინსა და გულში გამოკვანძული ცხოვრების კვირტი ისე გაიშლება, რომ მისგან მხოლოდ „მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანი გამოვა და არა „ძაღლ-ყურძენა“.

ღმერთმა ინებოს!

ახალი გამოცემა

მივიწყებული წარსულის გაცოცხლება



დღეს, როდესაც უახლესმა თანამედროვე საინფორმაციო წყაროებმა თითქმის „გააძევა“ წიგნი საზოგადოებიდან, მნიშვნელოვანია ყოველი ახალი წიგნის გამოცემა, მით უფრო, თუ, მასში ასახული მასალა შენს კუთხეს, მის ძალიან ახლო წარსულს ეხება.

სწორედ ჩვენი კუთხის, სამეგრელოს წარსულის მნიშვნელოვან პერიოდს, მის საზოგადოებრივ, კულტურულ, სოციალური საკითხების თემას ეძღვნება ბატონი გოგიტა ჩიტაიას ახლახანს გამოცემული წიგნი „ხობი, წარსულის ფურცლები“.

უნდა ითქვას, რომ ბატონი გოგიტა მთელი შეგნებული ცხოვრება, აკეთებდა და ახორციელებდა იმ საქმეს, რომელიც მისი რაიონის ავტორიტეტთან, წარსულთან და წარმატებასთან იყო დაკავშირებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბატონი გოგიტა ახალგაზრდობის წლებიდან დაწყებული, აქტიურად იყო ჩაბმული საკუთარი მხარის ისტორიის, კულტურის და არქეოლოგიის კვლევის საქმეებში. როგორც პროფესიონალი, მან თავად დაუღალავი შრომით (რომელიც უმეტესწილად ენთუზიაზმზე იყო დაფუძნებული) ამიტომაც უპრიანია მისი ტიტულიც „რაიონის მემატიანე“.

მის მიერ ახლახანს გამოცემულ წიგნში „წარსულის ფურცლები“ უამრავი დოკუმენტური მასალაა თავმოყრილი, რომელიც ეხება ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიას, საზოგადოების წარმომადგენელთა შეხედულებებს, ღირებულებებს, სოციალურ მდგომარეობას, იგი ერთნაირად საინტერესო საკითხავია ყველა ასაკის მკითხველისთვის, იმათთვის ვინც დაინტერესებულია საკუთარი კუთხის და გვარის წარმომადგენელია წარსულით.

ამ პატარა სტატიით წიგნის მთლიან ანალიზს ვერ შევძლებ, მაგრამ უაღრესად მომწონს ის დოკუმენტური მასალები, რომლებიც ჩემს მშობლიურ სოფლებს (ახალი ხიბულა, ბია) ეხება. ბევრი ისეთი გვარები ამოვიკითხე წიგნში, რომელიც უკვე მივიწყებული იყო.

უნდა ვთქვა, რომ ბატონი გოგიტას ნაშრომმა, კიდევ ერთხელ შეგვახსენა რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეების კეთებას თავისი მადლი აქვს და უკვალოდ არ იკარგება, ამის მაგალითია წიგნში მოყვანილი უამრავი ფაქტობრივი მასალა. სხვადასხვა პრესაში მიმობნეული მასალები, წერილები, გამონათქვამები, რომელიც ხობს, მის სოფლებსა და მოსახლეობას უკავშირდებოდა. მიხარია, ამ გვარებს შორის, ჩემი წინაპრების გვარების ხილვა.

მადლობა ბატონო გოგიტა. შემდგომ წარმატებებს გისურვებთ.

მანანა შულაია.

მეგობად საჭირო და მნიშვნელოვანი წიგნი

ვინც გოგიტა ჩიტაიას იცნობს, ნამდვილად არ გაუკვირდება, მისი ახალი წიგნის ხილვა.

მე მას მეგობართა წრეში ხობელი „შლიმანი“ შევარქვი. საინტერესო ამბების „მჩხრეკელი“, მეცნიერ-მკვლევარი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და რაც მთავარია, თავისი საქმის ერთგული და პროფესიონალი. ჩუმი და წყნარი, უპრეტენზიო, სიტყვაძუნწი, მაგრამ ზოგჯერ (ხასიათზეა დამოკიდებული) ენაწყლიანი.

სულ ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა“ დასტამბა გოგიტა ჩიტაიას და ანზორ სიჭინავას საინტერესო წიგნი „ხობი, წარსულის ფურცლები“ (პერიოდული გამოცემების მასალები ხობის მუნიციპალიტეტის წარსულზე). წიგნის რედაქტორია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ედიშერ გვენეტაძე.

კრებულში თავმოყრილია 1853 წლიდან 1933 წლამდე პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები თანამედროვე ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებსა და იქ მცხოვრებ ადამიანებზე. ავტორებს უამრავი მასალა ამოუკრიფავთ იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან და კრებულებიდან.

მე არ შევუდგები წიგნის დეტალურ განხილვას. მასზე ალბათ კომპეტენტური სპეციალისტები იტყვიან სათქმელს, რაც მთავარია, წიგნი საინტერესოდ იკითხება. იგი განსაკუთრებით უნდა წაიკითხოს თითოეულმა ხობელმა, ვისაც აინტერესებს თავისი რაიონის ისტორიული წარსული, გვარი, წინაპარი.

ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნში მოთავსებული ფოტო-მასალები მართლაც უნიკალურია. ზოგიერთ მათგანს პირველად იხილავს მკითხველი. თავში აღვნიშნე, რომ წიგნის დეტალური განხილვა ჩემს კომპეტენციას აღემატება, მაგრამ მე როგორც ხობელი, მეტად ნასიამოვნები დავრჩი და ბევრი რამ გავიგე ჩემი რაიონის წარსულზე, ჩვენს სახელოვან წინაპრებზე.

და ბოლოს, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა ვუთხრა ბატონ გოგიტას და ვუსურვო მრავალი საინტერესო წიგნით და ისტორიული აღმოჩენებით გაეხარებინოს მკითხველი და ხობელები.

ბეჟან ნადარაია,
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

ფრთხილად, ზაფხულია

ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისთვის

ზაფხულია და მეტი ყურადღება მართებთ, როგორც მოზრდილ ადამიანებს, ასევე პატარებს, რადგანაც ზაფხული ინფექციური დაავადებების გავრცელების პერიოდია.

თუ როგორ დავიცვათ თავი ნებისმიერი ინფექციური, გადამდები დაავადებებისაგან, რა პრევენციული ღონისძიებების გატარება გვმართებს, დაავადებების პროფილაქტიკისთვის, გვესაუბრება ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი–პროფილაქტიკოსი ჯუმბერ ტურავა.

–ჯანდაცვის ცენტრი ანხორციელებს პრევენციულ და ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებებს, როგორც სამუშაო გეგმის შესაბამისად, ასევე ეპიდემიოლოგიური საშიშროებისას. გარემოს ტემპერატურის მომატებასთან ერთად მოსალოდნელია სხვა ინფექციური, ასევე ნაწლავთა მწვავე ინფექციური დაავადების გავრცელება. თუმცა 2013-2014 წლებთან შედარებით, 2015 წლის განვლილ პერიოდში, ზემოთხსენებული დაავადებების კლებას აქვს ადგილი.

ზაფხულში ხშირად გვხვდება ეშერიხიოზი. ეს არის მწვავე ნაწლავური ინფექცია, რომელსაც ზოგიერთი ტიპის ნაწლავური ჩხირები იწვევს. დაავადება მიმდინარეობს გასტროენტერიტის ან გასტროენტერო კოლიტის სინდრომებით.

დაავადების ძირითად წყაროს წარმოადგენს ავადმყოფები ეშერიხიოზის წაშლილი ფორმებით. ზოგიერთ შემთხვევაში, ინფექციის წყაროა დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ფრინველი, გოჭები, ტარაკნები და სხვა.

დაინფიცირება ხდება ფეკალურ-ორალური გზით. ძირითადად დაავადება ვრცელდება დაბინძურებული კვების პროდუქტებით. მათ შორის რძით, რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით, ასევე ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, დაბინძურებული სასმელი წყლით, საყოფაცხოვრებო ნივთებით. ავადდებიან მოზრდილები და ბავშვები, განსაკუთრებით 2–4 წლამდე ასაკის ბავშვები.

დიზენტერიისმაგვარი ეშერიხიოზის დაავადება მწვავედ იწყება. ახასიათებს ტემპერატურის მატება 37,5 გრადუსიდან 39 გრადუსამდე. ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილს, სისუსტეს, თავბრუხვევას, მოჭერით ტკივილს მუცლის არეში, ფაღარათი დღეში 3–5 ჯერ, ზოგჯერ 10-მდე. დიაგნოზი ისმება კლინიკური ნიშნებით. საბოლოო დიაგნოზი ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური მეთოდებით დაისმება.

დაავადების ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, პაციენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებას.

ზაფხულში, ასევე ხშირად გვხვდება ენტეროვირუსული წარმოშობის მწვავე ნაწლავური ინფექცია, რომელსაც ახასიათებს ცხელება და კლინიკური ნიშნების მრავალფეროვნება. ეს მრავალფეროვნება იმითაა გამოწვეული, რომ ნაწლავური ვირუსი მთელს ორგანიზმში სისხლით ვრცელდება და აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, კუჭ-ნაწლავს, გულსისხლძარღვთა სისტემას, ფილტვებს, ღვიძლს და სხვა ორგანოებს.

მსოფლიოში ბოლო დროს აღინიშნება ენტეროვირუსის გააქტიურების ტენდენცია. ენტეროვირუსი, როგორც გრიპის ვირუსი, ორგანიზმში შეიძლება მოხდეს საკვების, წყლის მეშვეობით, კონტაქტურ-საყოფაცხოვრებო, ჰაერ-წვეთოვანი გზით. ინფიცირებისთვის ვირუსის დაბინძურებული ნერწყვის ერთი წვეთიც საკმარისია.

ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი ან ვირუსმატარებელი. საინკუბაციო პერიოდი, არის 4 დღე, თუმცა არ არის გამორიცხული, 10 დღემდე გაგრძელდეს. დასაწყისი ყოველთვის მწვავეა. ტემპერატურა ერთბაშად იწევს 38-39 გრადუსამდე. აღინიშნება შემცივნება, გულისრევა, ღებინება (დღეში 2-3 ჯერ). ნაწლავებში აირთა გაძლიერებული წარმოქმნის გამო მუცელი შებერილია და მტკივნეული, ნაწლავთა მოქმედება გახშირებულია და დღეში 6-8-ს აღწევს თხიერი წყლისებრი მასებით.

ზემოთხსენებულთან ერთად, ადგილი აქვს ასევე სალმონოზით დიზენტერიის მსუბუქი და სხვადასხვა სახის ტოქსიკოინფექციებით ადამიანთა ავადობის შემთხვევებს.

ნებისმიერი ინფექციური, გადამდები დაავადებების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეების მიერ პირადი ჰიგიენის წესების დაცვას, საკვების და სასურსათო ვაჭრობის ობიექტებში სანიტარული-ჰიგიენური წესრიგის დამყარებას. ხილი, ბოსტნეული ყოველი მიღების წინ კარგად უნდა გაირეცხოს გამდინარე ცივი წყლით. ხორცი, რძე და რძის პროდუქტები თერმულად კარგად უნდა დამუშავდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელების ხშირად საპნით დაბანვას, ოთახების განიავებას, დაავადების ნიშნების მქონე ადამიანებთნ ახლო კონტაქტებს უნდა მოვერიდოთ.

ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სკოლებსა და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში წყლის ხელმისაწვდომობასა და წყალმომარაგების ტექნიკური საშუალებების, სველი წერტილების, ჰიგიენის ხელშეწყობის საკითხების მოგვარებაზე. იმ პრობლემების დაფიქსირებაზე, რომელიც ხელს უშლის წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენის სათანადო პირობების უზრუნველყოფას.

სალმონელოზის პროფილაქტიკისთვის ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველების სალმონელოზებთან ბრძოლას. სანიტარული წესების დაცვა სასაკლაოებზე, ბაზრებზე, საწყობებში. საჭირო მღრნელების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება, რადგან ცხოველებთან ერთად ისინიც ხშირად არიან სალმონელოზის მიკრობების მატარებლები. უნდა გაძლიერდეს კონტროლი კვების ბლოკის მუშაკებზე. ფართოდ უნდა დაინერგოს მაცივრები კვების ბლოკში. ჩვილ ბავშვებს აუდუღარი წყალი არ უნდა დავალევინოთ. დიდმაც და პატარამაც უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენის წესები.

საუბარი ჩაიწერა
ნანი კილასონიამ.

ს პ ო რ ტ ი

ზვიად დათუაშვილის ხსოვნას მიეძღვნა

შუა ხორგაში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობას რვა გუნდი იღებდა.

„A“ ჯგუფში ასპარეზობდნენ შუა ხორგის, ქარიატის, ახალი სოფლისა და საგვიჩიოს ფეხბურთელთა გუნდები. „B“ ჯგუფში გამოდიოდნენ ხობის, პირველი ხორგის, ჭალადიდისა და შუა ხორგის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები. ჯგუფებიდან პირველ, მეორე ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში გადიოდნენ. „A“ ჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდნენ შუა ხორგისა და ახალი სოფლის გუნდები, ხოლო „B“ ჯგუფიდან ხობისა და შუა ხორგის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ: შუა ხორგა-ხობი; ახალი სოფელი–შუა ხორგა (ვეტერანები).

პირველ ნახევარფინალურ წყვილში შუა ხორგა–ხობის მატჩი დაძაბულად წარიმართა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ 0:0 დამთავრდა. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც ხობელები აღმოჩნდნენ უძლიერესები და ანგარიშით–3:0 ფინალში გავიდნენ. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ახალსოფლელებმა ადვილად სძლიეს შუა ხორგის ვეტერანთა გუნდს–6:3, თუმცა ვეტერანთა გუნდმა ტურნირზე დიდი სიმპათიები დაიმსახურა.

გაიმართა ფინალური მატჩი ახალი სოფლისა და ხობის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მატჩი ორმხრივ იერიშში მიმდინარეობდა. მატჩის ძირითადი დროის ბოლო წუთზე ანგარიში გახსნეს ხობელებმა, თუმცა ახალსოფლელებმა ცენტრიდან ბურთის გათამაშებისთანავე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ძირითადი დროც დამთავრდა 1:1. პენალტების სერიაში ხობელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ და ანგარიშით–3:2 მოიგეს. ისინი გახდნენ ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გამარჯვებულები. მათ ზვიად დათუაშვილის სახელობის თასი და სიგელი გადაეცათ. მეორე ადგილზე გავიდა ახალისოფლის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც დაჯილდოვდა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით. მესამე ადგილი დაიკავა შუა ხორგის (ვეტერან) ფეხბურთელთა გუნდმა. მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ტურნირზე ასევე დაჯილდოვდნენ საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციაში: საუკეთესო მეკარე გახდა ირაკლი საბეკია (ხობი; საუკეთესო მცველი გახდა ლევან ჩაჩიბაია (ახალი სოფელი); საუკეთესო ნახევარმცველი–ველოდ ალანია (შუა ხორგა–ვეტერანები); საუკეთესო თავდამსხმელი–მერაბ ხარბედია (ხობი); საუკეთესო ბომბარდირი–დავით ბარბაქაძე (ახალი სოფელი); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ვარდია (ხობი) გახდა.

გამარჯვებული და პორიზიორი გუნდები, ასევე საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოვეს გამგებლის წარმომადგენლებმა ქ. ხობში იური ჯობავამ, ახალი სოფლის თემში იმედა ცეცხლაძემ, შუა ხორგის თემში–ვალერიან ქაცარავამ. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა რობერტ გვასალიამ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა რომან მორგოშიამ, ხობის „კოლხეთის“ მწვრთნელმა ლევან ნოდიამ და ახალი სოფლის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელმა თემურ ვეკუამ.

დაჯილდოებისას შეჯიბრების მონაწილეებმა, ორგანიზატორებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ახალგაზრდა ვაჟკაცის ზვიად დათუაშვილის ხსოვნას.

შეჯიბრება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი როზეტა შულაია) მიერ.

ლევან ლემონჯავა.

ნუგზარ წურწუმია III ადგილი–ევროპის პირველობაზე სტამბოლში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

ანრი ჯგერენაიას სახელობის ტურნირი ჭადრაკში დასრულდა

საჭადრაკო კლუბ ლაზიერის ორგანიზებით 13 ივლისს, ქ. ხობში, დასრულდა ტრაგიკულად დაღუპული ანრი ჯგერენაიას სახელობის ტურნირი ჭადრაკში. ტურნირში 15 მოჭადრაკე მონაწილეობდა. საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:I ადგილი–ბადრი ლომაია, II ადგილი–გულად დგებუაძე. III ადგილი–ნოდარ შონია, IV ადგილი–ზურაბ ბებურია. V ადგილი–რომან ჯგერენაია.

დაჯილდოებას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, თასებით და ფასიანი საჩუქრებით. პრიზები I, II და III ადგილების მფლობელთათვის ანრი ჯგერენაიას ბიძამ რომან ჯგერენაიამ დააწესა. სამახსოვრო საჩუქარი გამარჯვებულს და ყველაზე პატარა მონაწილეს მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს უფროსმა რევაზ წულაიამ გადასცა. დაჯილდოების დასრულების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ანრი ჯგერენაია და ტურნირში მონაწილეებს მადლობა გადაუხადეს.

სომხეთის ქ. მასისში 4-7 ივლისს ჩატარდა ქალაქ მასისის ღია პირველობა კრივში. შეჯიბრი წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი მოსწავლეებისთვის.

პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ:

32 კგ წონითი კატეგორია–ქაჯაია დიმიტრი;

40 კგ წონითი კატეგორია–ახალაია გიორგი;

52 კგ წონითი კატეგორია–ხარამიშვილი ირაკლი;

54 კგ წონითი კატეგორია–ჯაკონია ნიკა.

მეორე ადგილზე გავიდნენ:

32 კგ წონითი კატეგორია–კალანდია კოკა;

34 კგ წონითი კატეგორია-ჩხეიძე რევაზი.

მწვრთნელ-მასწავლებლები: ედიკა თოდუა და თემურ აბულაძე. ორგანიზატორებმა გამარჯვებულები დააჯილდოვეს დიპლომებით, მედლებითა და თასით.

ჩვენმა მოკრივეებმა მიღწეული შედეგით მოიპოვეს ოქტომბერში დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება, რომელიც გაიმართება ქ. მასისში.

ქ. ბათუმში 2-12 ივლისს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბათუმის „საჭადრაკო კლუბ ნონა“-ს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმის მერიის თასი–2015“, ასპარეზობა შვეიცარული სისტემით გაიმართა და მასში მონაწილეობა10-მდე ქვეყნის 300 მოჭადრაკემ მიიღო. მათ შორის, ასაკობრივ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს განათლების ცენტრის ჭადრაკის წრის აღსაზრდელებმა (მწვრთნელ-მასწავლებელი ი.გეთია). 10 წლიან ბიჭებში: ნიკა ბუკია და ნიკოლოზ სიგუა. გოგონებში–ლიკა ჭანტურია. 12 წლიან ბიჭებში: ნიკა დოლბაია.

მათი შედეგი ასეთია: ნიკა ბუკია –5 ქულა, ნიკა დოლბაია–4,5ქულა, ნიკოლოზ სიგუა და ლიკა ჭანტურია–4ქულა.

ხსოვნა

გენო ტორჩინავა

იმ ავადმოსაგონარ დღეს, 1989 წლის 13 ივლისს ქარიშხალმა გადაუარა ჩვენს პატარა ქალაქს. ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ ქალაქის გამორჩეული ახალგაზრდები–გენო ტორჩინავა, ბადრი ლატარია, ზუგდიდელი ახალბედა ინჟინერი ემზარ ქობალია. იმ ქარიშხალმა თვით სიკვდილიც სხარტად დატოვა, რადგან ამდენი გულწრფელი ცრემლი, მოწიწებით დახრილი თავი, მორჩილებით მოდრეკილი მუხლი, არ უნახავს ხობს და ხობელებს.

გენო! ეს სახელი ყველა ხობელისთვის ახლობელი და ძვირფასია. ადამიანი, რომელიც ამქვეყნად უკვე 17 წელია აღარ არის, მაგრამ ძალზე ძნელია მისი დავიწყება. ახლის ძიების ნიჭი გააჩნდა მოწოდებით ინჟინერს, შრომობდა, იღწვოდა, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა მუდამ. მისი ხელმძღვანელობით აშენდა კულტურის სასახლე, რომელსაც დღესაც ამშვენებს წარწერა მისი სახელით, სპორტული კომპლექსი „იმედი“, რაიონის თითქმის ყველა სკოლა და ბევრი სხვა.

გენო ტორჩინავას ადამიანებთან ურთიერთობის უზადო ნიჭი გააჩნდა, ყველასთან ერთნაირად გულღია და მეგობრული იყო. გულიდან მოვარდნილი სიცილიც კი მყისვე გაგრძნობინებდათ მის ზნეობრივ სისპეტაკეს. დედამ ობლობაში გამოზარდა, შემდეგ კი თვითონ გაიკაფა ცხოვრების გზა, გზა, რომელმაც დიდებამდე მიიყვანა...

ივლისის იმ თაკარა დღეს კი ეშმაკი ჩაუსაფრდათ ბიჭებს გზაზე და თვალისდახამხამებაში წაიღო მათი სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც ესოდენ ძვირფასი იყო ხობელებისთვის.

რაოდენ დასანანია, უფალმა სიბერისთვის რომ ვერ გაიმეტა, 49 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე. ისე რომ, ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო. არადა როგორ დიდ სიყვარულს იტევდა გულში და თვითონაც დიდი სიყვარულით უყვარდა ყველას.

კრისტალური პატიოსნებითა და ქვეყნის სიყვარულით იყო იგი ძლიერი და გამორჩეული. გვეგონა, თვალდახუჭულიც მშვიდობით გაივლიდა ბეწვის ხიდს... ვაგლახ რომ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი საწუთისოფლო ბედისწერა, მაგრამ საამაყო, სამაგალითო და განუმეორებელი.

ადამიანის ხსოვნას ყველაზე მეტად მისი ღვაწლი ინახავს, მის ხსოვნას გულწრფელად და ფაქიზად შეინახავენ ხობელები.

მეგობრების სახელით
ლალი ლატარია.

ტრადიცია გრძელდება...

განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლამ, რომლის მთავარი სპეციალისტი თამარ ხუნწარია გახლავთ, წარმატებით დაასრულა 2014-2015 სასწავლო წელი, რომელიც საინტერესოდ იყო დატვირთული კულტურული პროგრამებითა და ვიქტორინა-კონკურსებით. აღსანიშნავია ქ.სენაკში ჩატარებული დასავლეთ საქართველოს რეგიონების სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მოსმენა-დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის ექვსმა მოსწავლემ. ისინი ფესტივალის ფუძემდებელმა მუსიკოსმა ვალერიან შიუკაშვილმა აქტიური მონაწილეობისთვის სიგელებით დააჯილდოვა. ხოლო მათ შორის სალომე ქირია (II კლასი, პედაგოგი ია კაკულია); ელენე ფარულავა (III კლასი, პედაგოგი თამარ ხუნწარია), მარი თოდუა (IV კლასი, პედაგოგი ნაზი ბერაია); ნოდარ შონია (VI კლასი, პედაგოგი ნათელა მარგველაშვილი) არტ აკადემიის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ 10 დღიან არდადეგებში, სადაც ჩაუტარდებათ მასტერ-კლასები, ლექცია-შეხვედრები და კონცერტები.

წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა კონკურსები: ვიქტორინა-კონკურსი მუს-ლიტერატურაში მე-4, მე-5, მე-6 კლასელთათვის, კონკურსი „ნორჩი პიანისტი“. ასევე სხვადასხვა სახის ღონისძიებები: საახალწლო ზეიმი, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

სამუსიკო სკოლა ტრადიციულად სასწავლო წლის დასასრულს წარჩინებული მოსწავლის სოლო კონცერტს მართავს. ამჯერად საკონცერტო დარბაზში მყოფი სტუმრები, მშობლები და სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, სამუსიკო სკოლის VI კლასის მოსწავლის ნოდარ შონიას სოლო კონცერტს დაესწრნენ. ნოდარი ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლეა, მისი პედაგოგი, ქალბატონი ნათელა მარგველაშვილი წლებია რაც მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეს ეწევა, მის ხელში მრავალი თაობა აღიზარდა, თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს სამუსიკო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგები მისი აღზრდილები არიან, ბევრ რამეზე მეტყველებს... ტრადიცია, რაც წლების წინ ამ სამუსიკო სკოლას ახასიათებდა, წარმატებით გრძელდება...

კონცერტზე ნოდარისთან ერთად ნათელა მარგველაშვილის სხვა მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, შესრულდა საფორტეპიანო ნაწარმოებები, პატარა პიანისტების შესრულებულმა ნომრებმა მაყურებლის მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. კონცერტის დასასრულს ნოდარმა გუნდის მასწავლებელ მზევინარ გვაძაბიასთან და მოსწავლეებთან ერთად რევაზ ლაღიძის უკვდავი „თბილისო“ შეასრულა. კონცერტს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დასასრულს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარემ როსტევან გვარამიამ ფრაქციის სახელით მუსიკის პედაგოგსა და ნორჩ პიანისტებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ნინო გერგაია.

მოლოცვები

ლიზი (ელიზაბედ)!



ჩვენო ლამაზო მამიდაშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს! შენი ყველა დაბადების დღე ჩვენთვის ზეიმია, ბევრს ვხალისობთ, ვერთობით...

„პრინცესა“, გილოცავთ და გკოცნით უთვალავჯერ. 5 წლის გახდი. 105 წლის იუბილეც მოგველოცოს ლუკასთან ერთად.

ტატა, გოგი, ნუცა ბუკიები.

ცაცა (ანასტასია) მუკიას!

ჩვენო მშვენიერო და საყვარელო დაიკო, გილოცავთ დაბადების დღეს.

ძალიან გვიყვარხარ და გვსურს ბედნიერი, მოყვარული, მხიარული, ისეთივე კარგი და ლამაზი იყო, როგორც ახლა ხარ.

გაიზარდე ისეთი, როგორიც დედიკოს და მამიკოს, ჩვენ, ბებიებს და ბაბუას გვსურს!

გკოცნით და გეხვევით!

გოგიჩო, ნუცა, ლუკა და ლიზი.

„კვირიკობა“

28 ივლისი წმიდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ხსენების დღეა. მათ მიმართ ლოცულობენ ოჯახური ბედნიერებისა და სნეულ ყრმათა მსწრაფლ განკურნებისათვის.

ტროპარი

„მოწამეთა შენთა, უფალო, კვირიკე და ივლიტა ღვაწლსა შინა თვისსა გვირგვინი მოირგეს უხრწნელებისა შენ მიერ ღვთისა ჩვენისა, რამეთუ აქუნდათ მათ შენ მიერ ძალი და მძლავრი. დაამსხვრიეს და შემუსრეს კერპთა იგი უძლური ძალი. მათითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნენ სულნი ჩუენნი“.

კონდაკი

„მკლავთა ზედა ეტვირთა ქრისტეს მოწამე კვირიკე ივლიტას, განმხობილი, სტადიონისა შინა ხმობდა სიხარულით: ქრისტე არს ჭეშმარიტად სიქადული მოწამეთა“.

წმინდანები თავიდანვე დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ საქართველოშიც. ივლისის თვეს, რომ ჩვენი წინაპრები კვირიკობის თვეს ეძახდნენ, მარტო ეს ფაქტი რად ღირს. მეგრულად ხომ ეხლაც „კვირკვეს“ ვეძახით. წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ბევრი ეკლესია ფუნქციონირებდა საქართველოს წარსულში. დღესაც ამ წმინდანების სახელობის არა ერთი და ორი ეკლესიაა საქართველოში. სხვადასხვა შემოწირულობებით, მათი სახელობის ეკლესია, ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფელ გურიფულშიც შენდება. დარჩენილ სამუშაოთაგან (რომელიც შეჩერებულია უსახსრობის გამო) ამჟამად ყველაზე უფრო გადახურვითი სამუშაოები მოითხოვს დაჩქარებას. მიუხედავად მრავალი დახმარებისა და შემოწირულობებისა, ეს თანხები საკმარისი არ აღმოჩნდა ეკლესიის მშენებლობის დასრულებისთვის. ეკლესიის მშენებლობისათვის დახმარების გაწევის მსურველთათვის გახსნილია ანგარიში ლიბერთი ბანკში. ისინი ვინც თუნდაც ერთი ლარი გაიღო ამ ეკლესიის მშენებლობისთვის, ყველანი მოხსენიებულნი არიან ტაძრის აღმშენებელთა სიაში (ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასთვის).

2000 წლის „კვირიკობისას“ სოფელ გურიფულის მოსახლეობის შემოწირულობათა და ჩვენი რაიონის მკვიდრის, ამჟამად სამების ტაძრის მოძღვრის, არქიმანდრიტ მამა ისაკის ძალისხმევით დაიწერა ამ წმინდანების ხატი, რომელსაც სოფელ გურიფულის მკვიდრნი, სანამ ტაძარი აიგება, მონაცვლეობით (სურვილისამებრ) სალოცავად ოჯახიდან ოჯახში გადააბრძანებენ. ამჟამად წმიდა მოწამეთა კვირიკეს და ივლიტას ხატი ოჯახის წევრთა თხოვნით დაბრძანებულია 13 ივნისს თბილისში სტიქიისას დაღუპული დების ელიზა და ინდირა ზარანდიების ოჯახში.

ეკლესიის მშენებლობას ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის ლოცვა-კურთხევით ხელმძღვანელობს დეკანოზი, მამა კირიონი, რომელიც მშენებარე ტაძარში შაბათობით, 13:00 საათზე აღავლენს ლოცვებს. ეკლესიის მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ გურიფულის მართლმადიდებელ ქრისტიანთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ ტრისტან ვადაქარიას. სპონსორების მოძიებაში აქტიურად არიან ჩართულნი აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, როგორც ქალბატონი ნანა გვასალიას (ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში) ინტერვიუდან გახდა ცნობილი: „გამოჩნდა ერთი პიროვნება, რომელსაც დიდი ალბათობით, ფინანსური თვალსაზრისით, ჩავაბამთ ამ საქმეში, ვნახოთ ყველაფერი წინაა...“ ასე, რომ უფლის ნებით უახლოეს პერიოდში ტაძარი გადაიხურება.

და კიდევ, ალბათ არც ის მოვლენაა შემთხვევითი წმიდა კვირიკეს ხელის მტევანი, რომ სწორედ საქართველოშია დაბრძანებული. საუკუნეების განმავლობაში იგი ესვენა ხობის ნოჯიხევის მამათა მონასტერში, საიდანაც XX საუკუნის ავადსახსენებელ 30-იან წლებში გადაასვენეს ზუგდიდის მუზეუმში და იგი დღესაც იქ არის დაცული. იმედია ეს უდიდესი სიწმინდე მალე კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდება და ადგილობრივ მრევლს მიეცემა მასზე თაყვანისცემის საშუალება.

და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გურიფულის წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ქრისტიანული თემის სახელით ყველას, ვინც თუნდაც ერთი თეთრი გაიღეთ ან სხვა სახით გამოხატეთ თქვენი მონაწილეობა ამ ტაძრის მშენებლობისათვის დიდ მადლობას გწირავთ! ყველა ხობელს ვულოცავ წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას მოხსენიების დღეს–„კვირიკობას“! დაე, წმინდა კვირიკეს და ივლიტას მადლი ფარავდეს თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს!

ტარიელ (ნუკრი) ზარანდია, სოფელ გურიფულის წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ქრისტიანული თემის თავმჯდომარე.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.